პროლეტარებო ყველა ქვეყანისა, შეუერთდით!

კომუნისტი

№ 35 (11341)
ოთხშაბათი
11
თებერვალი
1959 წ.

ფასი 20 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

მოუწოდებენ რა კომუნისტური მშენებლობის გეგმების შესრულებისაკენ, პარტიულმა ორგანიზაციებმა, პროპაგანდისტებმა და აგიტატორებმა ნათელი და გასაგები ფორმით უნდა განმარტონ, თუ რა არის კომუნიზმი, რა დიდი სიკეთე მოაქვს მას ადამიანებისათვის, ყოველი ღონისძიებით დაუჭირონ მხარი და განავითარონ შრომის კომუნისტური ფორმები. პარტიის ორგანიზატორულმა და აღმზრდელობითმა მოღვაწეობამ, მისი იდეოლოგიური მუშაობის ყველა საშუალებამ ხელი უნდა შეუწყოს კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაჭრას. საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ ყოველმა მშრომელმა უკეთ გამოიყენოს მანქანა, ჩარხი, აგრეგატი, ტრაქტორი, კომბაინი და შრომის მოწინავე მეთოდები.

(საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის რეზოლუციიდან)

ღრმად შევისწავლოთ და პროპაგანდა გავუწიოთ პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობამ მუშაობა დაამთავრა. მან მთელი მსოფლიოს წინაშე უდიდესი ძალით ცხადყო საბჭოთა ეკონომიკისა და კულტურის უყვავებული, მთელი საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუჯობესება და ეროვნული დონის ამაღლება, ჩვენი საგარეო პოლიტიკის მშვიდობისმოყვარეობა; მან საბჭოთა ხალხს კომუნისტური მშენებლობის დიადი პროგრამა დაუსახა. ყრილობის მუშაობამ და მისმა შედეგებმა უაღრესად თვალსაჩინოდ გვიჩვენეს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების დიადი და უძლეველი ძალა, იდეებისა, რომლებიც მსოფლიოს გარდაქმნიან საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონების, თვით ცხოვრების კანონების საფუძველზე.

XXI ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი გამოხატავენ პარტიის ლენინურ გენერალურ ხაზს თანამედროვე ეტაპზე, უსახავენ ჩვენს ქვეყანას განვითარების ახალ გრანდიოზულ პერსპექტივებს. საბჭოთა ხალხს, რომელსაც არაერთხელ განუცდიერებია კაცობრიობა თავისი ჩანაფიქრისა და საქმეების გადადებულებითა და შემართებით, ჯერ კიდევ არასოდეს არ ჰქონია განსახორციელებელი ისეთი დიადი ამოცანები, როგორიც ამჟამად.

ჩვენმა ხალხმა XXI ყრილობას საბრალოლიანად უწოდა კომუნიზმის მშენებელთა ყრილობა. იგი პარტიისა და ხალხის ისტორიაში, მთელი კაცობრობის ისტორიაში შეავა როგორც თანამედროვეობის ღირსშესანიშნავი პოლიტიკური მოვლენა, როგორც ჩვენი ქვეყნის განვითარების ახალი პერიოდის — კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდის დასაწყისი.

„ყრილობის მუშაობაში, — თქვა თავის საბოლოო სიტყვაში ნ. ს. ხრუშჩოვმა, — გამოიხატა პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის ნება განახორციელონ კომუნისტური მშენებლობის გეგმები, გამოიხატა სურვილი ყველაფერი გააკეთონ მშვიდობის შესანარჩუნებლად, სხვადასხვა სოციალური სისტემის ქვეყნების მეგზურ ხაზად, ერთ-ერთ ძირითადად, უზრუნველსაყოფად. ეს არის ჩვენი ყრილობის უმნიშვნელოვანესი დამახასიათებელი ნიშანი“.

ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან არა მარტო შეიმუშავა უახლოესი შვიდი წლის პრაქტიკული ამოცანები, არამედ თეორიულადაც გააშუქა გზა ჩვენი ქვეყნის შემდგომი ძლევამოსილი წინსვლისა კომუნიზმისაკენ იმ პერიოდისათვის, რომელიც ამ ვადას სცილდება. ყრილობა იყო ნიმუში მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი განვითარებისა სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკის ღრმა განზოგადების საფუძველზე. ამსანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში წამოყენებული ღრმა მეცნიერული დებულებანი კომუნისტური საზოგადოების ორი ფაზის შესახებ, სსრ კავშირში სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვების შესახებ, კომუნიზმის პირობებში სახელმწიფოს კვდომის გზების შესახებ, საზოგადოებრივი ორგანოების გამგებლობაში იმ ფუნქციების გადასვლის შესახებ, რომლებსაც სახელმწიფო ორგანოები ასრულებენ, სოციალისტური საკუთრების ორი ფორმის დაახლოებისა და შეერთების შესახებ, მსოფლიო სოციალისტური სისტემის ქვეყნების განვითარების საერთო კანონზომიერებათა შესახებ, საზოგადოების ცხოვრებიდან მსოფლიო ომის ჯერ კიდევ მანამდე გამორიცხვის რეალური შესაძლებლობის შესახებ, სანამ სოციალიზმი სავსებით გაიმარჯვებდეს მთელ მსოფლიოში, ომის შესახებ, რომ სოციალიზმის ქვეყნები მტად თუ ნაკლებად ერთდროულად დაიწყებენ გადასვლას კომუნისტური საზოგადოების უმაღლეს ფაზაში, და სხვა თეორიული დებულებები — ეს არის მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის დიადი გამოცდილებით გამდიდრებული.

ყრილობის მიერ დამუშავებული თეორიული დებულებანი მოქმედების სახელმძღვანელოა ჩვენი პარტიისათვის, მშრომელთა მილიონიანი მასებისათვის. თეორიისა და პრაქტიკის განუყრელმა ერთიანობამ, როგორც მუშაობის ლენინური სტილის ერთ-ერთმა უმნიშვნელოვანესმა თვისებამ, განსაკუთრებული ძალით იჩინა თავი ყრილობის მუშაობაში.

XXI ყრილობამ ჩაიარა ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო ჩვენი პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის ურღვევი მეგძრო შეკავშირების ნიშნით. ყრილობაზე არ ყოფილა არც ერთი გამოსვლა, რომელშიც გამოთქმული არ ყოფილიყოს მრისხანე დაგმობა მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის, ბულგანინისა და შეპილოვის ანტიპარტიული ჯგუფის საზიზღარი ფრაქციული, გამთიშველი მოქმედებისა, რომელიც გამოვიდა ჩვენი პარტიის ლენინური ხაზის წინააღმდეგ, XX ყრილობის მიერ დასახული კურსის წინააღმდეგ.

საბჭოთა ხალხის პრაქტიკულ საქმიანობაში მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითმა გამოყენებამ შესაძლებლობა მისცა ჩვენს პარტიას გამოეხსნა იმ მძლავრი ძალებისა და შესაძლებლობების ყველაზე სრული გამოყენების გზები, რომლებიც სოციალისტური წყობილების თვით საფუძველშია. მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნა, ღონისძიებანი საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განმტკიცებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციისათვის, მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა შემდგომი გაფართოება, სახალხო განათლების სისტემის გარდაქმნა და ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცება — ყველა ეს და სხვა ღონისძიებანი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობის ჭეშმარიტად უსაზღვრო შესაძლებლობებს იძლევიან.

ხალხის ყოველდღიური მიზანსწრაფული შრომა, XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა ღრმად გაგება, გამარჯვებისადმი განუხრელი მისწრაფება შვიდწლიანი გეგმის არა მარტო მთლიანად, არამედ აგრეთვე გადაჭარბებით შესრულების გარანტიაა.

იდეოლოგიური მუშაობის ყველა ბერკეტი და საშუალება უნდა ამოქმედდეს და დაუკვემდებარდეს XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების — კომუნისტური მშენებლობის დიადი პროგრამის პროპაგანდას, ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში დამუშავებული თეორიული პრობლემების ღრმად გააზრებას, შვიდწლიანი გეგმის ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მშრომელთა მობილიზაციას იმისათვის, რომ თვითეულმა რესპუბლიკამ, მხარემ, ოლქმა, რაიონმა, ქარხნის, ფაბრიკის, მშენებლობის, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, სამეცნიერო დაწესებულების თვითეულმა კოლექტივმა შეასრულოს მიმდინარე 1959 წლის — შვიდწლიდის პირველი წლის გეგმები.

კონკრეტული ამოცანების გადაჭრას ახლა უნდა დაუკვემდებარდეს პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობა.

პარტიული პროპაგანდა მოწოდებულია უფრო და უფრო გააძლიეროს ხალხის პოლიტიკური და შრომითი აქტივობა, აღაგზნოს მშრომელთა გული კომუნისტური მშენებლობის პათოსით, ეცადოს მიაღწიოს იმას, რომ თვითეულ საბჭოთა ადამიანს, რა პოსტზეც უნდა იყოს იგი, შეეძლოს დაუკავშიროს თავისი ყოველდღიური შრომა საერთო-სახალხო ბრძოლას კომუნიზმისათვის, გრძნობდეს თავს ამ ბრძოლის აქტიურ მონაწილედ. პროპაგანდა უნდა ზრდიდეს მშრომელებს კოლექტივიზმისა და შრომისმოყვარეობის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და პატრიოტიზმის სულისკვეთებით, კომუნისტური მორალის სულისკვეთებით.

XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა ახსნა-განმარტება ხანმოკლე კამპანია როდია, იგი პარტიული ორგანიზაციების ძირითადი ამოცანაა მთელი რიგი წლებისათვის. ამის შესაბამისად უნდა იგეგმებოდეს და შენდებოდეს მთელი პროპაგანდისტული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა — იდეოლოგიური ფრონტის ყველა უბნის მუშაობა. პარტიულმა პრესამ უნდა გააძლიეროს თავისი ყურადღება პროპაგანდის საკითხებისადმი. საჭიროა სისტემატურად ქვეყნებოდეს სტატიები და მასალები, გამოდიოდეს წიგნები და ბროშურები შვიდწლიანი გეგმის ამოცანების შესახებ, შემოქმედებითად მუშავდებოდეს და შუქდებოდეს XXI ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე თეორიული პრობლემები, ფართოდ ეწეოდეს პოპულარიზაცია მრეწველობის, სოფლის მეურნეობის მშრომელთა მოწინავე საწარმოო გამოცდილებას და საუკეთესო წამოწყებებს.

ყრილობისწინა შრომითი აღმავლობის პერიოდში ჩვენს ქვეყანაში იშვა შესანიშნავი პატრიოტული მოძრაობა — შეჯიბრება კომუნისტური შრომის ბრიგადების წოდების მოპოვებისათვის. ამ მოძრაობის ყოველმხრივ მხარდაჭერა, ჩვენი ეპოქის მოწინავე ადამიანების, კომუნიზმის გამარჯვების მისაღწევად მათ მიერ შესრულებული საგმირო საქმეების ჩვენება ჩვენი ბეჭდვითი და სატყვიერი პროპაგანდის მოვალეობა და ღირსების საქმეა.

საჭიროა ახალ დონეზე ავიყვანოთ სიტყვიერი პროპაგანდა, ყველა მისი სხვადასხვა ფორმა: ლექციები, მოხსენებები, საუბრები, კონსულტაციები, კითხვა-პასუხის საღამოები და ა. შ. მშრომელებისათვის უფრო მეტს უნდა ვკითხულობდეთ პოპულარულ, მისაწვდომ ლექციებსა და მოხსენებებს, მსმენელებს დამაჯერებლად და საინტერესოდ გადავცემდეთ კომუნისტური მშენებლობის რეალურ პერსპექტივებს, ვუამბობდეთ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სოციალისტური მშენებლობის წარმატებების შესახებ, საერთაშორისო ვითარების დაძაბულობის შენელებისათვის, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს მთელი პროგრესული ძალების ბრძოლის შესახებ.

ახლა, როცა ჩვენი ქვეყანა შევიდა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში, პარტიული ორგანიზაციების უპირველესი მოვალეობაა კიდევ უფრო მჭიდროდ განამტკიცონ კავშირი მასებთან. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ პარტიის თვითეული წევრი და წევრობის კანდიდატი, პარტიული ხელმძღვანელნი დაწყებული და რიგითი კომუნისტით გათავებული, პარტიის იდეებისა და ამოცანების მგზნებარე პროპაგანდისტი იყოს. XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა ახსნა-განმარტებაში პირადად უნდა მონაწილეობდნენ ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის რჩევაა ყველგან — საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებში მოეწყოს მშრომელთა კრებები, მიძღვნილი XXI ყრილობის შედეგებისადმი, ფართოდ იქნას გამოყენებული მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ყველა ფორმა იმ ამოცანების განმარტების მიზნით, რომლებიც ყრილობამ დაუსახა მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, მათ დასაარსებავად თვითეული საწარმოო კოლექტივის წინაშე მდგომი კონკრეტული ამოცანების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

მშრომელთა შორის მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობისათვის, კრებების, მოხსენებების, ლექციებისა და საუბრების მოწყობისათვის პარტიული აქტივის, პროპაგანდისტებისა და აგიტატორების მოსამზადებლად პარტიულმა კომიტეტებმა უნდა მოაწყოს სემინარები და კონსულტაციები. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სემინარებზე გამოვიდნენ ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები, პარტიის XXI ყრილობის დელეგატები.

პარტიული ორგანიზაციების გაორმაგებული ორგანიზატორული და აღმზრდელობითი როლი მოითხოვს, რომ თვითონ პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა აქტივმა ღრმად შეისწავლოს პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებანი, ყრილობის მიერ შემუშავებული თეორიული დებულებები და პრაქტიკული ამოცანები.

XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა ფართო პროპაგანდის ამოცანების შესაბამისად უნდა გარდაიქმნას პარტიული განათლების მთელი სისტემის მუშაობა. სასწავლო გეგმის მორიგი თემების შესწავლის დამთავრების შემდეგ პოლიტსკოლების, წრეების, თეორიული სემინარები, ეკონომიური სკოლები იწყებენ ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მასალების შესწავლას, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდის ამოცანებთან დაკავშირებული იმ თეორიული საკითხების შესწავლას, რომლებიც წამოყენებულია ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში და ყრილობის რეზოლუციაში. XXI ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მასალების შესწავლა უნდა წარმოიდგეს პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის ბოლომდე (8-10 მეცადინეობა პოლიტიკურ სკოლებსა და წრეებში, 3-4 მეცადინეობა თეორიულ სემინარებში).

პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებების, შვიდწლიანი გეგმის ამოცანების შესწავლა უნდა იყოს შემოქმედებითი, ცოცხალი, მებრძოლური, რესპუბლიკის, მხარის, ოლქის, რაიონის, სასწავლოს, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის კონკრეტულ ამოცანებთან, მათი განხორციელებისათვის ხალხის ბრძოლასთან მჭიდროდ დაკავშირებული.

ბევრი რამ, რა თქმა უნდა, დამოკიდებული იქნება პროპაგანდისტებზე, იმაზე, თუ როგორ შეძლებენ პარტიული ორგანიზაციები მათ მომზადებას, რა თეორიული და მეთოდური დახმარება გაეწევა მათ. ამჟამად პარტიული ორგანიზაციები ემზადებიან პროპაგანდისტთა 3-4-დღიანი სემინარების მოწყობისათვის. ეს სემინარები უნდა მოეწყოს უნარიანად, ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკთა, უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა, მეცნიერთა მონაწილეობით. მაგრამ სწორი არ იქნება დავჯერდეთ მარტო სემინარს. პროპაგანდისტები სისტემატურ დახმარებას უნდა იღებდნენ პარტიული ორგანიზაციებისაგან.

პროპაგანდისტებისა და თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელი კომუნისტებისათვის დახმარების გაწევაში დიდმნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის პოლიტიკური განათლების სახლებსა და კაბინეტებს. მათ უნდა უზრუნველყონ პროპაგანდისტები საჭირო მასალებით, მოაწყონ კვალიფიციური კონსულტაციები.

პროპაგანდისტებს და ყველა იმ კომუნისტს, რომლებიც პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებსა და მასალებს სწავლობენ, დიდი დახმარება უნდა გაუწიოს ჩვენმა პარტიულმა პრესამ, განსაკუთრებით ჩვენმა წამყვანმა ცენტრალურმა გაზეთებმა და ჟურნალებმა, აგრეთვე იმ ჟურნალებმა და გაზეთებმა, რომლებიც რესპუბლიკებში, ოლქებსა და მხარეებში გამოდის. ისინი თავიანთ ფურცლებზე უნდა აქვეყნებდნენ თეორიულ სტატიებსა და კონსულტაციებს, განაზოგადებდნენ პარტიის XXI ყრილობის მასალების პროპაგანდის დადებით გამოცდილებას.

საჭიროა ყველა ღონისძიებით დავიჩქაროთ პარტიის XXI ყრილობის მასალების თარგმნა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში, რომ მშრომელებს შეეძლოთ მშობლიურ ენაზე შეისწავლონ ისინი. ამავე დროს საჭიროა უახლოეს ხანში გამოვცეთ სხვადასხვა თვალსაჩინო ხელსაწყოები ყრილობის მასალების შემსწავლელთა დასახმარებლად და ყველგან თვალსაჩინო აგიტაციის გასაწევად, ამ ხელსაწყოებით უზრუნველყოთ ყველა კოლექტივი, თვითეული პროპაგანდისტი და აგიტატორი.

უკანასკნელ წლებში პარტიულმა ორგანიზაციებმა შეიძინეს თეორიული კონფერენციების ჩატარების დიდი გამოცდილება, განსაკუთრებით მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის საკითხებზე. როგორც წესი, ასეთი კონფერენციები აქტიურად მიმდინარეობს, მათს მუშაობაში კომუნისტებისა და უპარტიოების ფართო წრეები მონაწილეობენ. ეს ცოცხალი, საინტერესო ფორმა უნდა გამოიყენონ XXI ყრილობის მასალების შესწავლის დროსაც, განსახილველად უნდა გამოგვქონდეს როგორც თეორიული პრობლემები, ისე შვიდწლიანი გეგმის ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლის პრაქტიკული საკითხები. კონფერენციებში უაღრესად ცოცხალი მონაწილეობა უნდა მიიღოს პარტიულმა აქტივმა.

ყრილობის გადაწყვეტილებებსა და მასალებს ჩვენი ქვეყნის ყველა უმაღლეს სასწავლებელშიც შეისწავლიან. აქ განსაკუთრებით შეუწყნარებელია ხაქმისადმი ფორმალური დამოკიდებულება, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი ახსნილნენ ცოცხალი, ახალგაზრდობისათვის მისაწვდომი ფორმით, რომ ამ მასალების შესწავლა მეჯროდ იყოს დაკავშირებული კომუნიზმისათვის ხალხის პრაქტიკულ ბრძოლასთან. ყრილობის მასალების შესწავლა მიზნად უნდა ისახავდეს ახალგაზრდობის აღზრდას საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, პარტიის, ხალხის საქმისადმი ერთგულების სულისკვეთებით, კომუნისტური მორალის სულისკვეთებით.

ყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლისა და პროპაგანდისათვის და თეორიული პრობლემების დამუშავებისათვის დიდი ადგილი უნდა მუშაობა ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო-საკვლევმა დაწესებულებებმა და უმაღლესმა სასწავლებლებმა. ბევრი მათგანი ახლა ემზადება ყრილობის შედეგებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიებისა და კონფერენციების ჩატარებისათვის. დიდმნიშვნელოვანია ის, რომ ამ სესიებმა და კონფერენციებმა ჩაიაროს მაღალ იდეურ-თეორიულ დონეზე, რომ მათ ხელი შეუწყონ თეორიული პრობლემების შემდგომ შემოქმედებითს დამუშავებას და კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკული ამოცანების წარმატებით განხორციელებას.

XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდისა და მათი განხორციელებისათვის მასების მობილიზაციის სამსახურში უნდა ჩავაყენოთ კინო, რადიო, ტელევიზია. მეცნიერულ-პოპულარული ფილმებისა და კინოქრონიკის ჟურნალების სისტემატური გამოშვება; ტელევიზიით ტრანსლაცია სატელევიზიო ფილმების სპეციალური პროგრამებისა და სხვა გადაცემებისა, რომლებიც გვიჩვენებენ კომუნისტური მშენებლობის კონკრეტულ ამოცანებსა და პერსპექტივებს; პარტიის XXI ყრილობის მასალების ახსნა-განმარტებისადმი მიძღვნილი ლექციებისა და საუბრების ციკლების გადაცემა რადიოთი; რეგულარული გადაცემები რესპუბლიკებიდან, მიძღვნილი მათი ცხოვრებისა და შვიდწლიანი გეგმით განვითარების პერსპექტივების ჩვენებისადმი — ყოველივე ეს, ერთი მიზნისაკენ მიმართული, დიდ პროპაგანდისტულ და აღმზრდელობით როლს შეასრულებს, ფასდაუდებელი მნიშვნელობა ექნება შვიდწლიანი გეგმის მოლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში.

კვალიფიციურ ლექტორთა უდიდესი არმია ჰყავს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელ ხრულიად საკავშირო საზოგადოებას. საჭიროა, რომ ეს ძალა ყველგან ჩაბმულ იქნას დიდ და მნიშვნელოვან მუშაობაში პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მასალების პროპაგანდისათვის.

ძალიან ბევრი რამ შეუძლიათ გააკეთონ და უნდა გააკეთონ ყრილობის მასალებისა და გადაწყვეტილებების განმარტებისათვის, განსაკუთრებით სოფლად, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებმა — კლუბებმა, კულტურის სახლებმა და სახალხეებმა, ქოხ-ბიბლიოთეკებმა, ბიბლიოთეკებმა და წითელმა კუთხეებმა. მასობრივ აქტივზე დაყრდნობით, მათ შესაძლებლობა აქვთ ყოველდღიურად მრავალფეროვანი გახადონ თავიანთი მუშაობა, ფართოდ მოაწყონ სიტყვიერი და თვალსაჩინო აგიტაცია, მიაღწიონ თვითეულ ადამიანამდე.

* * *

პარტიის XXI ყრილობის მთელი მუშაობა გამსჭვალული იყო ბოლშევიკური პრინციპულობის, საქმიანობისა და კონკრეტულობის, კომუნისტური მშენებლობის მომწიფებული საკითხების გადაჭრისადმი შემოქმედებითი მიდგომის სულისკვეთებით. მგზნებარე, მებრძოლი და შემტევი პროპაგანდის ლენინური სტილი გვესაჭიროება ჩვენ ახლა. როცა ჩვენი პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი შეუდგნენ ესოდენ დიადი და აღმაფრთოვანებელი ამოცანების განხორციელებას.

„ყრილობა გამსჭვალულია რწმენით,— ნათქვამია რეზოლუციაში ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო, — რომ მუშები, კოლმეურნეები, საბჭოთა ინტელიგენცია ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ კიდევ უფრო განამტკიცონ ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ხიმძლავრე, განახორციელონ კომუნისტური იდეალები, რომლებიც წარწერილია მარქსიზმ-ლენინიზმის ძლევამოსილ დროშაზე“.

ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა ხალხი პარტიის ხელმძღვანელობით ღირსეულად შეასრულებს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების დიად ამოცანებს.

(„პრავდა“, 10-II).

კომუნისტთა და უპარტიოთა ურყევი ძალის მკაფიო დემონსტრაცია

მშრომელთა საოლქო წინასაარჩევნო თათბირებზე

საქართველოს დედაქალაქში დიდი პოლიტიკური აქტივობით მიმდინარეობს მშრომელთა საოლქო წინასაარჩევნო თათბირები. ისინი ცხადყოფენ საბჭოთა ადამიანების ურყევ ერთიანობას, მათს უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების თბილისის — ენგელსის № 28 საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენელნი— საწარმოთა მუშები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, დაწესებულებათა და სასწავლებელთა მოსამსახურეები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, სტუდენტები შეიკრიბნენ გუშინ ძერჟინსკის სახელობის კლუბში საოლქო წინასაარჩევნო თათბირზე.

თათბირი გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ნ. ვომელაურმა. — საბჭოების არჩევნებისათვის მზადება, — თქვა მან, — მიმდინარეობს ღირსშესანიშნავ დღეებში, როცა მთელი საბჭოთა ხალხი მხურვალედ განიხილავს და იწონებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებს. ყრილობამ ჩვენ ყველაზე ბევრი რამ შეუძლიათ გააკეთონ და უნდა გააკეთონ ყრილობის მასალებისა და გადაწყვეტილებების განმარტებისათვის, განსაკუთრებით სოფლად, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებმა — კლუბებმა, კულტურის სახლებმა და სახალხეებმა, ქოხ-ბიბლიოთეკებმა, ბიბლიოთეკებმა და წითელმა კუთხეებმა. მასობრივ აქტივზე დაყრდნობით, მათ შესაძლებლობა აქვთ ყოველდღიურად მრავალფეროვანი გახადონ თავიანთი მუშაობა, ფართოდ მოაწყონ სიტყვიერი და თვალსაჩინო აგიტაცია, მიაღწიონ თვითეულ ადამიანამდე.

* * *

პარტიის XXI ყრილობის მთელი მუშაობა გამსჭვალული იყო ბოლშევიკური პრინციპულობის, საქმიანობისა და კონკრეტულობის, კომუნისტური მშენებლობის მომწიფებული საკითხების გადაჭრისადმი შემოქმედებითი მიდგომის სულისკვეთებით. მგზნებარე, მებრძოლი და შემტევი პროპაგანდის ლენინური სტილი გვესაჭიროება ჩვენ ახლა. როცა ჩვენი პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი შეუდგნენ ესოდენ დიადი და აღმაფრთოვანებელი ამოცანების განხორციელებას.

„ყრილობა გამსჭვალულია რწმენით,— ნათქვამია რეზოლუციაში ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო, — რომ მუშები, კოლმეურნეები, საბჭოთა ინტელიგენცია ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ კიდევ უფრო განამტკიცონ ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ხიმძლავრე, განახორციელონ კომუნისტური იდეალები, რომლებიც წარწერილია მარქსიზმ-ლენინიზმის ძლევამოსილ დროშაზე“.

ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა ხალხი პარტიის ხელმძღვანელობით ღირსეულად შეასრულებს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების დიად ამოცანებს.

თბილისის — ენგელსის საარჩევნო ოლქი

დემიის აკადემიკოს-მდივანს ს. დურმიშიძეს. იგი ამბობს:

— ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტია გაბედულად ახორციელებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის, სამამულო მეცნიერებისა და კულტურის, ხალხის კეთილდღეობის მძლავრი აღმავლობის პროგრამას. გრანდიოზული პერსპექტივები ისახება ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა წინაშე მომავალ შვიდწლედში. ქართველი ხალხი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დიდი პატრიოტული აღმავლობის ვითარებაში ემზადება საბჭოების არჩევნებისათვის.

ორატორი ამბობს, რომ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებმა, წევრ-კორესპონდენტებმა, მეცნიერმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა, რომელნიც შეიკრიბნენ თავიანთ წინასაარჩევნო კრებაზე, ერთსულოვნად დაასახელეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის — ენგელსის № 28 საარჩევნო ოლქში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვასილ პავლეს-ძე მჟავანაძე და მოუწოდებს თათბირის მონაწილეთ მხარი დაუჭირონ დასახელებულ კანდიდატურას.

შემდეგ გამოვიდა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსი კ. მეგრელიშვილი, რომელმაც განაცხადა, რომ საქალაქო საბჭოს კოლექტივმა აგრეთვე დაასახელა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამავე საარჩევნო ოლქში ამხ. ვ. პ. მჟავანაძე. დაახასიათა რა ამხ. მჟავანაძე როგორც კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის ღირსეული წარმომადგენელი, ორატორმა მოუწოდა შეკრებილთ მხარი დაუჭირონ მის კანდიდატურას.

თათბირზე გამოვიდნენ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პარტბიუროს მდივანი პოეტი რ. მარგიანი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების სამმართველოს ტექნიკური განყოფილების უფროსი ინჟინერი ა. ლებედევი, საქალაქო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის ფილიალის მთავარი ინჟინერის მოადგილე ო. რონინშვილი, თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი ო. ტყეშელაშვილი, თბილისის 43-ე საშუალო სკოლის დირექტორი გ. კორსაველი და სხვები.

მათ გამოსვლებში ჩანდა სიამაყე სამშობლოსათვის, რომელიც შევიდა განვითარების ახალ ისტორიულ პერიოდში, მზადყოფნა, რომ მთელი ძალები მოახმარონ შვიდწლიანი გეგმის შესრულებას. ყველა მათგანმა თავიანთი კოლექტივების სახელით მხურვალედ დაუჭირა მხარი დასახელებულ კანდიდატურას და განაცხადა, რომ ოლქის ამომრჩეველნი სხვარულით მისცემენ თავიანთ ხმას პარტიის ერთგულ შვილს — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ვასილ პავლეს-ძე მჟავანაძეს.

თათბირის მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს მიმართვა თავიანთი ოლქის ყველა ამომრჩეველისადმი და აირჩიეს ნდობით აღჭურვილი პირები.

(საქდესი).

ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲫᲚᲔᲕᲐᲛᲝᲡᲘᲚᲘ
ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲐ
ᲛᲐᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ
ᲜᲐᲒᲚᲘᲜᲘ

ნორვეგიის კომპარტიის წარმომადგენლები საქართველოში

6-დან 10 თებერვლამდე საქართველოში სტუმრად იყვნენ ნორვეგიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ჰენრი ჰოფი და ცენტრალური კომიტეტის წევრი, ნორვეგიის კომპარტიის ტრონჰეიმის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ტორე შერსტი, რომლებიც საბჭოთა კავ

მთელი ძალები—შვიდწლიანი გეგმის შესრულებას!

★ ★ ★

ქართველ მწყემსებთან

თბილისი: გთხოვთ გვიამბოთ, როგორ მიმდინარეობს ცხვრის გამოზამთრება კასპიისპირეთის საზამთრო საძოვრებზე.

ჩორნი რინოკი: ჯერჯერობით სამდურავი არ გვეთქმის ზამთარზე. თუმცა თოვლი მოვიდა, ცოტა აცივდა კიდეც, მაგრამ საშიში არაფერია. პირიქით, თოვლმა ბალახი დააღბო და ცხვარი უფრო მადიანად სძოვს. წლევანდელ ზამთარზე რომ წარმოდგენა იქონიოთ, საკმარისია გადმოგცეთ, რომ დღემდე ცხვარი ფარეხში არც კი შესულა. ყუათიანი ბუნებრივი საძოვრების გარდა, ყველა ფერმასთან დიდძალი თივა და სხვა კონცენტრირებული საკვები უხვად არის მომარაგებული. ასე რომ მდგომარეობა კარგია, ცხვარი ნორმალურად ზამთრობს.

თბილისი: ხომ ვერ გვეტყოდით მეცხვარეთა შრომითი საქმეების შესახებ ამ დღეებში?

ჩორნი რინოკი: სამმართველოს მუშაკები გუშინ დაბრუნდნენ ბაჯიგანიდან, სადაც ამოწმებდნენ ფერმებში დოლისათვის მზადყოფნის მდგომარეობას. ამ დღეებში ყველგან უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობაა. მწყემსები და სპეციალისტები განსაკუთრებული ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს XXI ყრილობის მუშაობას. ყოველდღიურად რადიოთი ისმენდნენ გადაცემებს თბილისიდან და მოსკოვიდან. შემდეგ იმართებოდა საუბრები შვიდწლედის განხორციელებაში მეცხოველეთა შრომითი წვლილის შესახებ. მაგალითად, დუშეთის რაიონის სოფელ მლეთის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის მოწინავე მწყემსმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა შიო ნაზღაიძემ თავისი ბრიგადის მწყემსების სახელით ვალდებულება აიღო სანიმუშოდ ჩაატაროს დოლი და მთლიანად შეინარჩუნოს მიღებული ნამატი. მლეთელ მეცხვარეთა თაოსნობას ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა. პარტიის დუშეთის რაიკომის წარმომადგენლებმა მლეთელთა თაოსნობა ყველა ფერმის მწყემსებს გააცნეს და შეჯიბრებაც გაიშალა. ახლა

> **როგორც „კომუნისტის“ მკითხველებმა უკვე იციან, კასპიისპირეთის საძოვრებზე ზამთრობენ დუშეთის, ლენინგორის, ყაზბეგის და საქართველოს ზოგიერთი სხვა რაიონის საკოლმეურნეო ცხვრის ფერმები. გუშინ „კომუნისტის“ თანამშრომელი ტელეფონით დაუკავშირდა ყიზლარის საზამთრო საძოვრების სამმართველოს ჩორნი რინოკში. აპარატთან მოვიდა სამმართველოს უფროსის მოადგილე, მთავარი აგრონომი ამხ. დ. ვარდოშვილი.** ქვემოთ ვბეჭდავთ მასთან საუბრის ჩანაწერს.

მწყემსები შეუდგნენ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა და ყრილობის სხვა დოკუმენტების გულდასმით შესწავლას. შვიდწლიანი გეგმა ყველა მეცხოველეს საკუთარ გეგმად მიაჩნია. ამიტომ არც გასაკვირველია, რომ მწყემსები ასე საგულდაგულოდ ემზადებიან დოლისათვის.

თბილისი: თქვენი ვარაუდით როდის დაიწყება დოლი?

ჩორნი რინოკი: დაახლოებით ასე 10-15 დღის შემდეგ. თუმცა აქა-იქ უკვე გამოჩნდა თითოოროლა ბატკანი. ყველა ფერმაში დოლისათვის მზადება ძირითადად დამთავრებულია. მომზადებულია საბატკნეები, ახლა მანქანებითა და ტრაქტორებით ყველა ფერმასთან დამატებით ვეზიდებით კომბინირებულ საკვებს დედა ცხვრებისათვის. ამ სამუშაოსაც ერთ კვირაში მთლიანად დავამთავრებთ.

თბილისი: როგორ იყენებენ მუშაობისაგან თავისუფალ დროს მწყემსები?

ჩორნი რინოკი: ფერმებში იღებენ ჟურნალ-გაზეთებს, აქვთ რადიომიმღებები, უშვებენ კედლის გაზეთებს და საველე ფურცლებს. პარტიის რაიკომებიდან მოვლინებული ამხანაგები მართავენ ლექციებს, საუბრებს, აწყობენ თვითმოქმედების საღამოებს. ასე რომ ბინებში მოწყენილობა არ იგრძნობა. ჩვენი ბიბლიოთეკიდანაც ხშირად მიაქვთ მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურა. მწყემსებს უყვართ კარგი წიგნებისა და ლექსების, პოპულარული ბროშურების კითხვა. ახალ წიგნებს თუ კიდევ უფრო მეტს გამოგვიგზავნიან, ამაზე მადლობის მეტი რა გვეთქმის.

თბილისი: მწყემსებს ხომ არაფერი აქვთ საპრეტენზიო რომელიმე ორგანიზაციის მიმართ?

ჩორნი რინოკი: როგორ არა, აქვთ. ამაზე მოგახსენებთ. ამ ორი დღის წინ ბაჯიგანიდან ჩამოსული მწყემსები ჩვენი კლუბის გამგეს უსაყვედურებდნენ, ეგ მოძრავი კინო ორი წლის წინანდელ სურათებს რომ გვიჩვენებს, ა ალი აღარ გამოუშვიათ თუ რა არისო. მართლაც ასეა. მოძრავი კინო მარტო „ბაში-აჩუკს“ და „ოთარაანთ ქვრივს“ უჩვენებს. ზოგიერთ ბინაში აღნიშნული ფილმები თითქმის ხუთჯერ უჩვენეს. რას ფიქრობენ კულტურის სამინისტროში, ჩვენ ვინ გაგვაგებინებს! ჩვენამდე მოადწია ამბავმა, ახალი კინოჟურნალი გამოუშვეს, რომელსაც „საზამთრო იალაღები“ ჰქვიანო. ალბათ ჩვენს მეცხვარეებზე იქნება. „იალაღებისა“ კი რა მოგახსენოთ, ის საზაფხულო საძოვრებია, მაგრამ რაც უნდა ერქვას, ეგ მაინც გვაღირსონ სანახავად. ჩვენი მწყემსები ემდურებიან საქართველოს რადიომაუწყებლობის კომიტეტსაც, ჩვენთვის სპეციალურ გადაცემებს იშვიათად აწყობენ, თანაც ქართული სიმღერების გადმოცემაზე ძალიან ძუნწობენო.

თბილისი: გადაეცით კასპიისპირეთში მყოფ ქართველ მწყემსებს ჩვენი გაზეთის მკითხველთა მხურვალე სალამი და საუკეთესო სურვილები.

ჩორნი რინოკი: გწამდეთ, რომ აქ მყოფი საქართველოს მეცხვარეები ნაკისრ ვალდებულებას პირნათლად შეასრულებენ, სანიმუშოდ ჩაატარებენ დოლს და თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ მშობლიური კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელების დიად საქმეში.

პრაქტიკულად შეუდგნენ შვიდწლედის განხორციელებას

ლენინგორი. (საკ. კორ.). სოფელ წინაგრის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ივ. ძუგაევმა მიტინგზე, რომელიც პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებს მიეძღვნა, განაცხადა:

— ჩვენი კოლმეურნეები პრაქტიკულად შეუდგნენ შვიდწლიანი გეგმით დასახული ამოცანების განხორციელებას. ძროხის სულადობა იანვარში ათი სულით გაიზარდა, სახელმწიფოს უკვე ჩაბარდა 15.000 ლიტრი რძე. თვითეულ საფურაეე ძროხაზე მიღებულია 15 ლიტრით მეტი რძე, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდისათვის იყო მიღებული. წინაგრელებმა გასასუქებლად დააყენეს 100 სული ღორი, მოამზადეს ნიადაგი ვენახისა და ხეხილის ბაღის გასაშენებლად. სოფელი ყოველმხრივ მზად არის საგაზაფხულო სამუშაოების დასაწყებად.

პარტიული მუშაობა შვიდწლედის ამოცანათა დონეზე

ფულუკიძე. („კომუნისტის“ კორ.). პარტიის რაიონულმა კომიტეტმა ჩაატარა საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციათა მდივნების სემინარი. სემინარის მონაწილეებისათვის მოეწყო საუბრები სამუშაო გეგმის, პარტბიუროს სხდომისა და პარტიული კრების მომზადების, მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმების, პარტიის წევრობის კანდიდატებთან მუშაობის საკითხებზე, აგრეთვე პარტიული ჯგუფებისადმი, კომკავშირისა და სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობისა და მასებში პოლიტიკური აგიტაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

სემინარზე წაკითხულ იქნა ლექციები და მოხსენებები თემებზე: „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები“, „კომუნისტური მორალი“ და სხვ.

* * *

ფოთი. (საკ. კორ.). ამას წინათ პარტიის საქალაქო კომიტეტმა ახლადარჩეული პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისათვის მოაწყო სემინარი.

სემინარზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: „პარტიაში მიღების საქმისადმი ხელმძღვანელობა და ახალგაზრდა კომუნისტებთან „მუშაობა, პარტიული დავალება და მისი შესრულების შემოწმება“, „პარტიული ორგანიზაციის სამუშაო გეგმა, პარტიული კრების მომზადება და ჩატარება“, „პარტიულ კრებებსა და და ბიუროს სხდომებზე მიღებულ დადგენილებათა შესრულების ორგანიზაცია“ და სხვ.

* * *

ცხინვალი. („კომუნისტის“ კორ.). ამ დღეებში აქ გაიმართა რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისა და პარტჯგუფორგების სემინარი.

სემინარზე მოსმენილ იქნა მოხსენებები: „სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის შედეგები და პარტიული ორგანიზაციების ამოცანები“, „პარტიული ორგანიზაციების სამუშაო გეგმის შედგენის, კრებების მომზადებისა და ჩატარების პრაქტიკის, პარტიული დადგენილებების შესრულების შემოწმების შესახებ“, „სოფლად იდეოლოგიური და საგაზეთო-პროპაგანდისტული მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“, „კედლის გაზეთებისა და საველე გაზეთების მუშაობის შესახებ“, „პარტიული ჯგუფების მუშაობის შესახებ“.

სემინარის მონაწილეებმა დაათვალიერეს ძველი სენაკის მეღორეობის საჯიშე საბჭოთა მეურნეობისა და ამავე სოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმები. ისინი გაეცნენ კომუნისტური შრომის რგოლის ხელმძღვანელის, მოწინავე მწველავის მიხეილ ბელქანიას და კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელის, მოწინავე მეღორის მარიამ სუხომლინოვას მუშაობის გამოცდილებას.

საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

საბჭოთა ქალიშვილების პაჭრიოტული თაოსნობა

კომკავშირელები და ახალგაზრდობა, ისე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებს.

ყრილობის დღეებში ახალი ძალით გამოვლინდა საბჭოთა ახალგაზრდობის უანგარო პატრიოტიზმი. ამ პატრიოტიზმის ერთ-ერთი შესანიშნავი გამოვლინებაა ჩვენი სახელოვანი ქალიშვილების გაშლილი მოძრაობა, რომლებმაც „გადაწყვიტეს წავიდნენ მუდმივ საბუშაოდ ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებში.

საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ქალიშვილთა ეს პატრიოტული მოძრაობა და წინადადება მისცა კომკავშირის საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებსა და მოკავშირე რესპუბლიკათა ალკკ ცენტრალურ კომიტეტებს ახსნაგანმარტებითი მუშაობის საფუძველზე შეარჩიონ და ყაზახეთის სსრ ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებულ ვადებში გაგზავნონ 25 ათასი ქალიშვილი, რომლებმაც გამოთქვეს სურვილი წავიდნენ მუდმივ სამუშაოდ ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებში. ქალიშვილების უფრო ორგანიზებულად შერჩევისა და გაგზავნისათვის მიეცათ რჩევა შექმნან კომკავშირის რაიკომებთან, საქალაქო კომიტეტებთან შემარჩევი კომისიები.

ქალიშვილებს, რომლებიც იგზავნებიან სამუშაოდ ყაზახეთის სსრ ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებში, ეძლევათ სამგზავრო ხარჯების ღირებულება და სხვა კომპენსაციები, გათვალისწინებული შრომის არსებული კანონებით და, გარდა ამისა, ერთდროული დახმარება ორი თვის ხელფასის (სატარიფო განაკვეთით) რაოდენობით წინანდელი მუშაობის ადგილზე, მაგრამ არანაკლებ 500 მანეთისა თვეში. ქალიშვილებს, რომლებიც გამგზავრების დროისათვის არ მუშაობდნენ მუშებად და მოსამსახურეებად, ერთდროული ორი თვის დახმარება ეძლევათ თვეში 500 მანეთის ანგარიშით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება თელავის, ყვარლის, ლანჩხუთის, მარნეულის, ორჯონიკიძისა და ხობის რაიონებში სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ამ რაიონებში სანიტარული მდგომარეობა რამდენადმე გაუმჯობესდა, სანიტარული წესრიგისათვის ბრძოლაში ფარფოდ ჩაბმულია მოსახლეობა, აღმოფხვრილია მთელ რიგ ინფექციურ დაავადებათა კერები.

მაგრამ, როგორც შემოწმებამ ცხადყო, მთელ რიგ სოფლებსა და რაიონულ ცენტრებში სანიტარული მდგომარეობა ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებელი არ არის. ბევრ ადგილს ცუდია ვარგისი სასმელი წყლით მოსახლეობის მომარაგება, ფრაზე არ იწმინდება ქუჩები და სოფლები, არ არის ამისათვის საჭირო ტრანსპორტი, ინვენტარი. ადგილობრივმა საეკონომიკურ ორგანიზაციებმა ვერ მოაწყეს მოსახლეობისათვის სადეზინფექციო საშუალებათა მიყიდვა. სათანადო ყურადღება არ ექცევა საკოლმეურნეო აბანოების მშენებლობას.

შრომილთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოები და მათი აღმასკომები სუსტად იბრძვიან სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ისინი ცოტა სანიტარულ-პროფილაქტიკურ ღონისძიებას იღებენ, საკმაოდ არ იყენებენ სოფლის ინტელიგენციას — ექიმებს, მასწავლებლებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს მოსახლეობის სანიტარულ-კულტურული დონის ამაღლების საქმეში. მილიციის ადგილობრივი ორგანოები კამპანიურად მონაწილეობენ მუშაობაში სანიტარული წესრიგის დამყარებისათვის. არ იღებენ ღონისძიებებს სანიტარული რეჟიმის დამრღვევთა წინააღმდეგ.

მიღებული დადგენილებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააკისრა თელავის, ყვარლის, მარნეულის, ორჯონიკიძის, ხობისა და ლანჩხუთის რაისაბჭოების აღმასკომებს უმოკლეს ვადაში მოახდინონ რაიონში სანიტარული მდგომარეობის შემოწმება, საკითხი განიხილონ საბჭოს სესიაზე ან აღმასკომის სხდომაზე და განახორციელონ სანიტარული მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებანი, უზრუნველყონ სანიტარული წესრიგი დასახლებულ პუნქტებსა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ახლოს; ყოველწლიურად გაზაფხულსა და შემოდგომაზე მოაწყონ ქალაქებისა და სოფლების დასუფთავების ერთთვიური; უზრუნველყონ ახალი საკოლმეურნეო აბანოების მშენებლობის გეგმების შესრულება, არსებული აბანოების ნორმალური მუშაობა და უმოქმედო აბანოების აღდგენა, არ დაუშვან საკოლმეურნეო აბანოების შენობების გამოყენება არადანიშნულებისა მ ე ბ რ; კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვა სამეურნეო ორგანიზაციების ფართო მონაწილეობით მიიღონ კარგი ხარისხის სასმელი წყლით მოსახლეობის უზრუნველყოფის, კეთილმოწყობისა და საერთო სარგებლობის ჭებისა და წყაროების სრულ სანიტარულ-ტექნიკური წესრიგში მოყვანის, ყველა წყალსადენის სათავო ნაგებობათა სანიტარული დაცვის გადამწყვეტი ღონისძიებანი.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს დაევალა დახმარება გაუწიოს რაონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს შესაბამისი ტრანსპორტისა და ინვენტარის გამოყოფით, მიიღოს რაიონულ ცენტრებსა და რესპუბლიკის ქალაქებში სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებანი. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დაევალა გადაწყვიტოს მეურნეობაში პრაქტიკით გაიღრმავოს და განიმტკიცოს. სწავლისა და შრომის შეერთებით ისინი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გამოვლენ ცხოვრების დიდ გზაზე.

ი. მიქაძე,

ცხინვალის რაიონის ძველი სენაკის საშუალო სკოლის დირექტორი.

ახალგაზრდებო, წარმოება გელით!

ამას წინათ თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის კულტურის სახლში შედგა საღამო თემაზე: „ახალგაზრდებო, წარმოება გელით!“. საღამოს ესწრებოდნენ კომბინატის მუშა-მოსამსახურენი და დედაქალაქის საშუალო სკოლის მოსწავლეები. იგი გახსნა სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის პარტიული კომიტეტის მდივანმა თ. გიორგაძემ.

მოხსენებით ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ გამოვიდა ინჟინერი ლ. ელისაშვილი.

— სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში ახალგაზრდობას ფართო ასპარეზი აქვს გადაშლილი შრომითი საქმიანობისათვის. ვის არ ნახავთ აქ — ბორვაშირებით პრაქტიკას მეურნეობაში გადიან.

მეშვიდეკლასელები სპეციალურ საგნებში პრაქტიკას უშუალოდ ფერმაში გადიან, დაკვირვებებს ახდენენ ფრინველებზე, ეჩვევიან მათს მოვლას, სწავლობენ ფუტკრის მოვლა-პატრონობას და სხვ.

მერვეკლასელები თეორიასთან ერთად პრაქტიკულად სწავლობენ ნათეს კულტურებს, მათზე აწარმოებენ ცდა-დაკვირვებებს. ისინი უკვე კარგად ერკვევიან ნათეს კულტურებში მინერალური სასუქების შეტანის აგროტექნიკურ წესებში. გასულ სამეურნეო წელს მოსავლის აღების პერიოდში კარგად შეისწავლეს მარცვლეული კულტურების ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური სიმწიფის განსაზღვრა, სათესლეების შერჩევა და სხვ. მათზე მიმაგრებულ თვითეულ ნაკვეთს სათუთად მოუვლეს და უხვი მოსავალიც მიიღეს.

მეცხრეკლასელები ძირითადად მეცხოველეობას სწავლობენ. საჯიშე ფერმაში მათ კარგად აითვისეს შრომითი პროცესები. სანიმუშოდ უვლიან მათთვის მოსავლელად ჩაბარებულ პირუტყვს, გულმოდგინედ ასუფთავებენ სადგომებს, ზოოტექნიკოსის მითითებით მტკაცედ იცავენ პირუტყვის კვების რაციონს.

ჩვენი სკოლის მეცხრე კავშირმა ადგილობრივ მეღორეობის საჯიშე საბჭოთა მეურნეობასთან სასურველი შედეგი გამოიღო. მოსწავლეებმა სკოლაში გაკვეთილებზე შეძენილი ცოდნა მეურნეობაში პრაქტიკით გაიღრმავეს და განიმტკიცეს. სწავლისა და შრომის შეერთებით ისინი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გამოვლენ ცხოვრების დიდ გზაზე.

ი. ჩუთკერაშვილი,

ცხინვალის რაიონის ძველი სენაკის საშუალო სკოლის დირექტორი.

ცხოვრების გაკვეთილები

შრომის სიყვარული

მოვიდნენ და სიცოცხლე მოიტანეს, ქარხნის საამქროები ახალგაზრდული ხალისით, მგზნებარებით აავსეს. ყველანი ფეხდაფეხ მოჰყვნენ და თავმომწონედ შემოსკუპდნენ ფანჯრის რაფაზე, ჩარხთა მწკრივებს შორის მოწყობილ სადგომებზე.

ხელდახელ შემოირბინეს ქარხნის ყოველი კუნჭული, ყველას გაეცნენ, დაუახლოვდნენ. ზოგი გაოცებულია ნანახით, მელანში დასვრილ საჩვენებელ თითს გაზეთილ ჩარხს უსვამს და საქმიანი კაცის ტონით ამბობს:

— აი ეს მესმის!

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელო ქარხანაში რომ უნივერსალურ ჩარხებს ამზადებდნენ, ეს ადრეც იცოდნენ, მაგრამ, თუ ეს უბრალო, რიგითი ადამიანები ქმნიდნენ და აწყობდნენ ასეთ რთულ დეტალებს, ამაზე ხომ არ დაფიქრებულან.

— ვახტანგ, შენი აზრით რამდენი წლისა იქნება ეს ხარატი? — ეკითხება თანაკლასელს ვაჟა ბოკორაშვილი.

— რომელი?

— აგერ კუთხეში რომ დგას ჩარხთან.

— დიდი-დიდი სამი წლით იყოს ჩვენზე უფროსი. რატომ შემეკითხე?

— ისე. მაგან უნდა თქვას, ბიჭი ვარო. რა რთულ დეტალებს ახარატებს და თავი ისე თავისუფლად უჭირავს, თითქოს სათამაშო ურემს თლიდეს.

— რა გიკვირს, ჩვენც ვისწავლით.

დიახ. ისწავლიან. ამიტომ მოვიდნენ აქ, კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელო ქარხანაში თბილისის მე-12 სკოლის მოსწავლეები, ამიტომ გამოჰყვეს სპეციალური კუთხე საამქროში. ამიტომ დაუთმეს სახარატო, სახფრდავი ჩარხები, დანადგარები. მალე კი მთელ საამქროს გამოყოფენ მოსწავლეთა საწარმოო სწავლებისათვის. პერიოდულად ერთ კვირას ქარხანაში იკრიბებიან, ორ კვირას — სკოლაში და, სიმწიფის ატესტატს რომ მიიღებენ, ხარატის ან ზეინკლის თანრიგსაც მიიღებენ.

მაშინ ცხოვრების კარი მათთვის ღია იქნება. ხაითაც გინდა, წადი! ისწავლე, იშრომე, ხალხსაც გამოადექი და საკუთარ თავსაც.

ნეტავ რა მოსაზრებით აშენებს ზოგიერთი მშობელი შვილს: — თუ კარგად არ ისწავლი, ქარხანაში შეგაგდებო. აბა ჭკითხეთ ჩარხებთან მოფუსფუსე ამ ყმაწვილებს, თუ შეეკითხეს. ირგვლივ საუცხოო ხალხი, საქმიანი გარემო. მარტო ის რად ღირს, რომ იტყვი, ამ ჩარხის შექმნაში მეც წილი მიდევსო.

მართალია, პირველად ხამოვით ხარ ქარხანაში, შეიძლება გაგიკვირდეს კიდეც, მაგრამ მაყვალი თუ გიყვარს, დაჩნვლეტაც უნდა აიტანო. გუშინ ჯუმბერ ხელაშვილმა ჩაქუჩი დაირტყა თითზე. შეხვეული თითით რომ მიგიდა შინ, დედა გაჯავრდა.

— ეს არის საქმე? ცხვირმოუხოცავი ბალღი ქარხანაში მიპყავთ და თითებს ამტვრევინებენ!..

მამამ ჰკითხა:

— გეტკინა?

— ჰო.

— არაგიშავს, მეორეჯერ არ დარტყამ.

დღეს ჯუმბერი საამქროში მოპყვა ამ ამბავს. გულიანად იცინეს, მერე უთხრეს, გამონაკლისი არა ხარ, ჩვენც ასე დავიწყეთო. მალე ისე გიიწყებენ, ნამდვილ ხარატებს ჯობებო.

ხარატები კარლო ტუფშელაძე და კობა ვარეიშვილი ლითონის დამუშავების საიდუმლოს ისე საგულდაგულოდ გადასცემენ მოსწავლეებს, რომ კაცი იფიქრებს, ეს საიდუმლო ალბათ პირდაპირ ტვინში უნდათ ჩაუდონონ. მოსწავლეები ყურადღებით უსმენენ, გაფაციცებით ადევნებენ თვალს საწარმოო სწავლების ოსტატების ყოველ მოძრაობას.

ქარხანაში უკვირთ, ასე მალე როგორ შეიცვალნენ ყმაწვილები, დადინჯდნენ, საქმიანი კაცის იერი მიიღეს.

— ახლა ჩარხებთან მიდით.

მელანში გასვრილი თითები ჩამბრთველისაკენ მიიწევს. ჩარხზე დამაგრებული ლითონის ნაჭერი მოძრაობას იწყებს, საჭრისი წრიპინებს, დეტალი მზად არის.

დიდხანს ატრიალებენ გამოჩარხულ დეტალს, პირველ ნახელავს და ვერც გრძნობენ, რომ დეტალი ცხელია, ხელს სწვავს.

— მეოცნებენო, დეტალები! — აჩქარებენ ფიქრებს გაყოლილ ბიჭებს.

ეს მეგობრულად არის ნათქვამი, არც ხწყინთ.

ბიჭები გრძნობენ პასუხისმგებლობას, გრძნობენ, რომ მათ ისე ექცევიან, როგორც ნამდვილ მუშებს. გარეგნულად ვერც გაარჩევ მათგან. ლურჯი ხალათები აცვიათ, სახელოები აუკეციათ, ხელები ზეთით დასვრიათ, სახე აქა-იქ მურით. შრომითს ჩვენებზე თუ შეატყობ კაცი, რომ ჩარხებთან დიდი ხანი არ უნდა იდგნენ.

ამ ჩვენებს შემდეგ გაკვეთილებზე შეიძენთო, ეუბნებიან ოსტატები.

და კვლავ ირთვება მოტორები, კვლავ წრიპინებს საჭრისი, ჩარხება დეტალები და „ახალ საკლასო ოთახში“ — ქარხნის უზარმაზარ საამქროში შეუმჩნევლად გადის ცხოვრების გაკვეთილები, გარჯას, შრომის სიყვარულს რომ ასწავლის სკოლის მერხიდან მოსულ ბიჭებს.

ა. ხუციშვილი.



პრაქტიკას გადიან საგზოოთა მეურნეობაში

ცხოვრებასთან სკოლის კავშირის და მოსწავლეთა შრომითი აღზრდის მიზნით ბევრი რამ გაკეთდა ძველი სენაკის საშუალო სკოლაში. განხორციელებულ იქნა სწავლის შეერთება ნაყოფიერ შრომასთან. სკოლა მეიღრიდან დაუკავშირდა ადგილობრივ მეღორეობის საჯიშე საბჭოთა მეურნეობას. აქ მოსწავლეები აქტიურად ეწევიან საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას და შრომის საუკეთესო ჩვევებსაც იძენენ. ამ საქმეში დიდად გვეხმარება და მზრუნველობას იჩენს თვით საბჭოთა მეურნეობის დირექცია (დირექტორი ნ. ბარამია).

გასულ წელს მოსწავლეებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ვენახის დამუშავებაში, სიმინდის მოვლაში, ჩაის პლანტაციაში. მოსწავლეთა საერთო შრომადღეებზე 10 ათასი მანეთი გაიცა.

ჩვენი სკოლის მოსწავლეები პროგრამული მასალის შესწავლასთან დაკავშირებით გააკეთეთ ექსკურსიები ადგილობრივ ორგანოებში. ეს ექსკურსიები ეხებოდა ადგილობრივ ორგანოებში ადგილობრივ ორგანოებში ადგილობრივ ორგანოებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგიტატორები, ლექტორები —მოსახლეობაში

მზადება საბჭოების არჩევნებისათვის

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის მშრომელები უდიდესი ინტერესით ეცნობიან პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადწყვეტილებებს, მძლავრი შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში ემზადებიან საბჭოების მომავალი არჩევნებისათვის. წინანდელ არჩევნებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა საარჩევნო ოლქების რაოდენობა. ახლა ქუთაისში შექმნილია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების 11 და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნების 286 საარჩევნო ოლქი.

არჩევნებთან დაკავშირებით ქალაქში საგიტაციო-პოლიტიკურ მუშაობას ეწევა 3.500-ზე მეტი აგიტატორი. ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის საამქროებში, აგრეთვე მუშათა დახის ტერიტორიაზე, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ყოველდღიურად მართავს საუბრებს დაბის სამ აგიტპუნქტსა და ქარხნის 30 აგიტპუნქტში გაერთიანებული 350 აგიტატორი. ავტომობილმშენებელთა შორის საბჭოების მომავალი არჩევნების შესახებ შინაარსიანი საუბრები გამართეს აგიტატორებმა — შასის საამქროს უფროსმა ოსტატმა გ. რაზმაძემ, ამავე საამქროს ოსტატმა გ. მიქაძემ, ძრავის საამქროს ამწყობმა ტ. ჩარგეიშელმა, სიჩქარეთა კოლოფის საამქროს ამწყობმა შ. ფორფოლაშვილმა, № 2 სამსხმელო საამქროს ოსტატმა გ. ჯიმკარიაშვილმა და სხვებმა.

ახალი ძალით გაჩაღდა საავიტაციო-მასობრივი მუშაობა ქალაქში არსებულ ყველა აგიტპუნქტში, რომელთა რაოდენობა 40-ზე მეტია.

* * *

ზესტაფონი. (საკ. კორ.). პარტიის რაიკომმა მოაწყო აგიტატორების, აგიტპუნქტების გამგეების, პარტიული ორგანიზაციების მდივნების რაიონული თათბირი. მოხსენება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით საგიტაციო-მასობრივი მუშაობის გაჩაღების შესახებ გააკეთა პარტიის მახარაძის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. თოხაძემ.

თათბირზე სიტყვით გამოვიდნენ ძიმითის საარჩევნო უბნის აგიტპუნქტის გამგე ამხ. ნ. ცერცვაძე, ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობის აგიტპუნქტის გამგე ამხ. მ. დარჩია, ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პარტბიურო მდივანი ამხ. დ. ხურციძე, კომკავშირის რაიკომის მდივანი ამხ. რ. დონაძე, აბრეშუმის ძაფსაღებავ-საგრეხი ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი ამხ. დ. კილურაძე და სხვები.

თათბირმა მრისმენა აგრეთვე რაიონის პროკურორის ე. გოგუაძის მოხსენება თემაზე: „აგიტატორის როლი საბჭოთა კანონიერების დაცვის საქმეში“.

საავიტაციო-მასობრივი მუშაობის გასაუმჯობესებლად თათბირმა დასახა სათანადო ღონისძიებანი.

* * *

ხაშური. (საკ. კორ.). ყოველდღიურად ძლიერდება საბჭოების არჩევნებისათვის მზადება. სალოკომოტივო დეპოს პარტიულმა კომიტეტმა განიხილა არჩევნებისათვის მზადების საკითხი. საარჩევნო პროპაგანდის გაძლიერების მიზნით დამატებით გამოიყო 12 აგიტატორი. ახლა დეპოში 52 აგიტატორი მუშაობს. მოწინავე აგიტატორია ოსტატი გ. მიჩხანელი. იგი მართალი სიტყვით ოაზმავს მსმენელებს საწარმოო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის. საამქროს კოლექტივი ყოველდღიურ გეგმებს 120-135 პროცენტით ასრულებს.

დეპოს წითელ კუთხესა და ბიბლიოთეკაში მოეწყო არჩევნებისადმი მიძღვნილი ლიტერატურის გამოფენა. კითხულობენ მოხსენებებს თემაზე „საბჭოთა კონსტიტუცია მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციაა“.

* * *

სტალინირი. (საკ. კორ.). დღითიდღე ფართოვდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადება.

პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტმა მოაწყო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისა და აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა საოლქო თათბირი.

თათბირმა მოისმინა პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის ამხ. ზ. ცხოვრებოვის მოხსენება პოლიტიკური აგიტაციის ამოცანების შესახებ არჩევნებთან დაკავშირებით. პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებმა და აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებმა ილაპარაკეს აგიტპუნქტების, აგიტატორების მუშაობის შესახებ, ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. პ. ცაგარეშვილი.

ამკამად ოლქის საწარმო-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საუბრებს აწყობს 2.000-ზე მეტი აგიტატორი, რომლებიც გაერთიანებული არიან 100 აგიტკოლექტივში. საუბრები ეწყობა საბჭოთა კონსტიტუციის, საბჭოთა საარჩევნო სისტემის, პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ირგვლივ. პოლიტიკური აგიტაცია მიმდინარეობს პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა ფართო პროპაგანდის ნიშნით.

«კომუნისტის» სიგნალის შემდეგ

„ყალბისმქმნელები“

ამ სათაურით გაზეთ „კომუნისტის“ 1958 წლის 1 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია, რომელიც ამხილებდა ვანის რაიონის კიროვის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის დ. ქარჩხაძის და აღმასკომის მდივნის დ. სანიკიძის ყალთაბანდობას და ყალბისმქმნელობას. ისინი უყურადღებოდ ტოვებდნენ მოსახლეობის მოთხოვნილებებს, ადგენდნენ ყალბ დოკუმენტებს და სხვადასხვა მაქინაციებით გამოძალვას ეწეოდნენ.

საქართველოს კპ ვანის რაიკომის ბიუროს მიმაჯეა ამ საკითხზე და გაზეთის კრიტიკა სწორად ცნო. ბიუროომ აღმასკომის თავმჯდომარე დ. ქარჩხაძე გაათავისუფლა თანამდებობიდან, ხოლო აღმასკომის მდივანი დ. სანიკიძე სამუშაოდან მოხსნა და სკკპ რიგებიდან გარიცხა.

გუნების დაცვისათვის

ფიქრები

ასეთი სესია ჯერ არ ყოფილა. არათუ საოლქო საბჭოს, რაიონული საბჭოების სესიებზეც არ განიხილავდნენ ამნაირ საკითხს. ახლა კი ბუნების დაცვამ მიიქცია ყველას ყურადღება. მშობლიური მზრუნველობა მწვანე მეგობარს! — ამბობენ დეპუტატები. ეს მთელი ხალხის მხარდაჭერის პოულობს.

უსათუოდ ღირს ოლქის ფარგლებს გარეთ იცოდნენ ის, რაც მომხსენებელმა და მოკამათეებმა გულის ტკივილით თქვეს საოლქო საბჭოს სესიაზე, რომელმაც სპეციალურად განიხილა სამხრეთ ოსეთის ბუნების დაცვის საკითხი. ეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე ღრმა ფიქრებს აღძრავს ჩვენს მწვანე მეგობარზე და ბევრს გაახსენებს ქართულ ხალხურ თქმულებას.

ტყეში ხმა გავარდა: „სოფელში დარბაზი დანგრეულაო“. „შიგ ჩვენი ბიჭი ხომ არ ერიაო?“ — იკითხა მუხამ და როდესაც უპასუხეს, არაო, მაშინ თქვა: „კიდეც მაგიტომ დანგრეულაო“.

არ გვეგულება ნამდვილი ადამიანი, რომელსაც არ უყვარდეს ტყე — მშობლიური დედამიწის საამაყოდ. და მაინც გვხვდებიან ტყის მტრები — ქვის გულიანნი, შუშისთვალებიანნი. ისინი ქურდულად ჩეხენ ტყეებს უმთავრესად გზების ორივე მხარეს. ამის გამო განსაკუთრებით დაზარალებულია გრომის, ვანათის, წნელისის, გუფთისა და ვანელის ტყის მასივები. სახალხო სასამართლოებმა ტყის მტრებს უკვე მიუსაჯეს 75.000 მანეთის ჯარიმის გადახდა. სამწუხაროდ, ეს ჯარიმები მთლიანად როდია ამოღებული. დამნაშავენი ახერხებენ თავის დაძვრენას.

ეს მოხდა წნელისის სატყეო უბანში: გულქვა ადამიანებმა აამშავეს ნაჯახი და ძირს დასცეს 290 ძირი მუხა.

მსგავსი გულგრილობით გაიჩეხა უამრავი იფანი და წაბლი შორეული ჭალაბეთის სატყეო უბანში. გრომის სატყეო მეურნეობის უთაურმა მუშაკებმა კი არ შეაკავეს ახალგაზრდა ტყის პირწმინდად გაჩეხვა მეტად დაფერდებულ ორნახევარ ჰექტარზე. დამნაშავეებმა საკადრისი სასჯელი მიიღეს, მაგრამ მწვანე მეგობარს აღარა ეშველა რა.

ეადისარის სატყეო ზონაში გამართეს სამხერხაო, რომელიც მოტაცებული ხეტყის სპეკულაციის საშუალებად აქციეს. ეს სახერხი მოაწყო ჭავის რაიმრეწკომბინატმა. წელს ამ ზონაში ტყესაკაფი არ გამოუყვიათ, მაგრამ სახერხი არ აიღეს და მით ხელი მოიბეზეს მხერხავებმა ცხოვრებოვმა და გერგაულოვმა. შემდეგ ისინი გაქრნენ, თითქოს მიწამ პირი უყოო. სახერხი კი დგას, და მისი გამოყენება ბოროტ ხელს როდი გაუძნელდება...

ტყის საზიანოდ უკონტროლოდ ამოშავებული სახერხით წაბლსა და იფანს ანადგურებდა ჭავის რაიონის ქარზმანის კოლმეურნეობის ზოგიერთი ხელუკუღმართი წევრი. ასეთივე სახერხი გამართეს ერწოლებმა. ამ სოფლის კოლმეურნეობის გამგეობის წევრები ჩაურეოლობის პოზიციაზე იდგნენ, როცა ტყეს ხვრეტდა ხეთაგურა. ასეთივე სახერხი გამართეს ერწოლებმა. ამ სოფლის კოლმეურნეობის გამგეობის წევრები ჩაურეოლობის პოზიციაზე იდგნენ, როცა ტყეს ხვრეტდა ხეთაგურა. ეს ბოროტი ხელი ბოლოს ეცემა. ეს ბოროტი ხელი ბოლოს ეცემა. ეს ბოროტი ხელი ბოლოს ეცემა.

მწვანე მეგობარზე

სპეკულანტური ელემენტები ნაჯახით ემუქრებოდნენ.

ზნაურის რაიონში არის შინდარის მშვენიერი ადგილი. დეპუტატებმა სესიაზე თქვეს, რომ ამას წინათ ამ ადგილს ნაჯახებით მიადგა ოთხი კაცი ჭარელის რაიონის სოფელ კნოლევიდან. მათ ტყის ჩეხვა დაიწყეს. როცა მეტყევის წინააღმდეგობას წააწყდნენ, თავხედობამ თან სცემეს, გზიდან ჩამოიშორეს, მოკრეს 17 ძირი მუხა და ქურდულად წაიღეს. მეტყევე მიხა ცხოვრებოვი ხშირად აწყდება მძღოლების გაფფრებულ წინააღმდეგობას, როცა მათ ნაქურდალი შეშით დატვირთული ავტომანქანები მიჰყავთ სხვადასხვა რაიონში.

ქურდი მძღოლები ხშირად გამარჯვებული რჩებიან. ტყის მტაცებელ მძღოლთა მიმართ ზოგჯერ ლმობიერი განაჩენი გამოაქვთ ჭაფისა და სტალინირის რაიონების სახალხო სასამართლოებს. ბალთაში იჩეხება ტყის ძვირფასი ჯიშები, მეტყევე ნადირაძე კი ტყის გარდა ყველგან არის. იგი თავისი მოვალეობის შესრულებას გაურბის. ამით ხელმრუდენი სარგებლობენ, ტყე ზარალდება.

სპეციალისტები ადასტურებენ, რომ 1895 წელს შედგენილ რუკაზე ხშირი ტყეთ აღინიშნებოდა ქალაქ სტალინირთან მდებარე ნაცარგორიდან სოფელ ხეთაგურამდე 8-9 კილომეტრ მანძილზე ვრცელი ადგილები. ახლა აქ მხოლოდ შიშველი მინდვრებია. წინათ არსებული მშვენიერი ტყეები აღარ აქვთ სოფლებს ხოდსა და ხეთაგურთს.

მიუხედავად ამისა, სამხრეთ ოსეთის ტყის რესურსები მდიდარია. ამჟამად ტყეებს 177.825 ჰექტარი უჭირავს. ეს კი ოლქის მთელი ტერიტორიის 46 პროცენტს შეადგენს. წიფლის ტყეებს მთელი ფართობის 79 პროცენტი უჭირავს. ღრმად გაუდგამს ფესვები მუხას, ნაძვს, ფიჭვს, იფანს, წაბლს.

ლამაზია ტყით შემკობილი დიდი ლიახვისა და ჭნინის ხეობები. ჭავა-როკის ხეობის ტყეებშია კურორტი ჯავა. იქ ამოჩუხჩუხებს მინერალური წყალი „ძაუსუარი“.

საბჭოთა შეიარაღებული ძალების 41-ე წლისთავისათვის

იქ, სადაც იბრძოდა კიკვიძე

დონის ვრცელ ველებზე, რომლებიც ოდესღაც თეთრი ვაცოწვერათი და მწარე ბაზინდათი იყო დაფარული, ცარიცინის ჩრდილო-დასავლეთით, 1918 წელს ბობოკრობდა სამოქალაქო ომი, რომელიც დონის ოლქის ატამანმა გენერალმა კრასნოვმა გააჩაღა. განსაკუთრებული დივიზია, რომელსაც სარდლობდა სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირი ვ. ი. კიკვიძე, მთელი 1918 წლის მანძილზე იგერიებდა თეთრგვარდიელთა ურდოების გაფფრებულ იერიშებს, იცავდა ცარიცინ-პოეორინოს რკინიგზას, რომელიც საბჭოთა რუსეთის ცენტრს კავშირებდა პურით, ნავთობით, ნედლეულით. ბევრი სადგური რამდენჯერმე გადადიოდა ხელიდან ხელში. 1919 წლის იანვარში განსაკუთრებული დივიზია, რომელსაც მე-16 დივიზია ეწოდა, მე-9 წითელი არმიის საბრძოლო ძალებთან ერთად კონტრშეტევაზე გადავიდა და ერთი კვირის სასტიკ ბრძოლებში თეთრებისგან გაათავისუფლა რკინიგზის ეს დიდმნიშვნელოვანი მაგისტრალი.

ვ. ი. კიკვიძე საბრძოლო პოსტზე დაჭრილი გარდაიცვალა 1919 წლის 11 იანვარს სტალინგრადის ოლქის ახლანდელი ბუდარინოს რაიონის ხუტორ ზუბრილოვოში.

1958 წლის 23 თებერვალს, საბჭოთა არმიის მე-40 წლისთავის დღეს, სტალინგრადის ოლქის (ყოფილი დონის ოლქის) ბუდარინოს, ნოვო-ანენსკის, კიკვიძისა და სხვა რაიონების მშრომელებმა ვ. ი. კიკვიძეს ხუტორ ზუბრილოვოში დაუდგეს დიდი ძეგლი, რომელიც მოსკოვში დამზადდა ამ რაიონების მოქალაქეთა სახსრებით.

ახლა სტალინგრადის ოლქის ჩრდილოეთ რაიონებში, სადაც მრისხანედ მიდიოდა იერიშებზე ვ. ი. კიკვიძის დივიზია და ანადგურებდა თეთრგვარდიელთა პოლკებს, მშრომელნი მღელვარებით აღნიშნავენ დივიზიის ლეგენდარული უფროსის, ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის ვ. ი. კიკვიძის დაღუპვის მე-40 წლისთავს.

ემზადებოდა რა ამ თარიღისათვის, ქალაქ ურიუპინსკის თეატრმა 1958 წლის დეკემბერში დადგა ქართველი დრამატურგის ვ. დარასელის პიესა „კიკვიძე“, რომელს რეპეტიციები მიმდინარეობდა მე-16 დივიზიის ყოფილი წითელარმიელის მ. ვ. ლარინის უშუალო კონსულტაციით. დივიზიის უფროს ვ. ი. კიკვიძის როლს ასრულებდა მსახიობი ე. გასინი, რომელმაც სამართლით და მთავარ ნებულად უჩვენა მაყურებლებს კიკვიძის სახე როგორც ნიჭიერი და უშიშარი წითელი მხედართუფროსისა. პიესა „კიკვიძის“ დადგმას ესწრებოდა მე-16 დივიზიის ბევრი ყოფილი წითელი მებრძოლი, რომლებიც დონის შორეული სტანიცებიდან და ხუტორებიდანაც კი ჩამოვიდნენ. ისინი სპექტაკლს უყურებდნენ მღელვარე დაძაბულობით. სპექტაკლმა რევოლუციის ჯარისკაცებს მოაგონა მათი საბრძოლო საქმეები მრისხანე 1918 წელს. რაკა მსახიობი ე. გასინი, რომელიც ვ. ი. კიკვიძეს განასახიერებს, ერთ-ერთ სურათში წითელარმიელებს მიმართავს და განკარგულებას იძლევა:

— წინ ალექსიკოვოზე! აიღეთ ეს სადგური! — დარბაზში გაისმა მქუხარე ტაში და შეძახილები:

— ვაშა კიკვიძეს!

ზოგი მაყურებელი, რომელიც პირველად ხედავდა ვ. ი. კიკვიძის სცენიურ სახეს, მხურვალედ უკრავდა ტაშს დივიზიის ლეგენდარული უფროსის როლის შემსრულებელს მსახიობ გასინს, სხვებს კი, რომლებიც ახლო იცნობდნენ კიკვიძეს, მღელვარე სიხარულისაგან თვალზე ცრემლი მოადგათ.

თგილისი—პრაღა

პრაღა. (ტელეფონით). თითქმის ერთი თვეა, რაც ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკაში საგასტროლოდ იმყოფება თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობთა ჯგუფი: სსრ კავშირის სახალხო არტისტი პეტრე ამირანაშვილი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ლეილა გოცირიძე და საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ზურაბ ანჯაფარიძე.

გუშინ ჩვენი გაზეთის თანამშრომელი თბილისიდან საერთაშორისო ტელეფონის ხაზით პრაღის სასტუმრო „ამბასადორში“ დაუკავშირდა სსრ კავშირის სახალხო არტისტს პეტრე ამირანაშვილს, რომელმაც თქვა:

— ჩვენს გასტროლებს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკაში დიდი წარმატება აქვს. ლეილა გოცირიძემ, ზურაბ ანჯაფარიძემ და მე მონაწილეობა მივიღეთ პრაღის ეროვნული თეატრის სპექტაკლებში („რიგოლეტო“, „ტოსკა“, „აიდა“, „პიკის ქალი“, „ყარმენი“).

ჩეხოსლოვაკიის სხვადასხვა ქალაქში უკვე მრავალი კონცერტი გავმართეთ. პროგრამაში გვაქვს ქართველ, რუს და დასავლეთ ევროპის კომპოზიტორთა ნაწარმოებები.

პრაღასა და რაკოვნიკში ოთხი კონცერტი გავმართეთ მუშებისათვის. ქალაქ რაკოვნიკში ჩემთან მოვიდა ჩეხი პიონერი ოლგა ზელენკოვა, რომელსაც პირადი მიწერ-მოწერა აქვს ჩემს გოგონასთან.

ჩვენს გასტროლებს ფართოდ გამოეხმაურა აქაური პრესა. მრავალმა გაზეთმა აღფრთოვანებული რეცენზიები დაბეჭდა.

გუშინ საღამოს ექვს საათზე მოეწყო პრაღის ეროვნული თეატრისა და ქართველი მსახიობების შეხვედრა.

მეტალურგთა ტექნიკური სწავლება

ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის კადრების განყოფილების ტექნიკური სწავლების სექტორმა, რომელსაც სხვადასხვა პროფილის რამდენიმე ტექნიკური წრე აქვს, უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე 1.134 კაცი მოამზადა. აქედან კვალიფიკაცია აიმაღლა 534 კაცმა, მეორე პროფესიას დაეუფლა 230 კაცი.

ამ დღეებში მარტენის საამქროსთან ჩამოყალიბდა ელექტროხიდური ამწეების მემანქანეთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტექნიკური წრე, რომელშიც 70 ახალგაზრდა გაერთიანდა. 21 მუშა ახლახან ჩაირიცხა ორთქლმავლის მემანქანის პროფესიის შემსწავლელ წრეში, რომელიც რკინიგზის საამქროსთან შეიქმნა.

საბჭოთა ხალხი მეთაუროგს კაცოგრიოგას

იანოშ კადარის განცხადება

ბუდაპეშტი, 8 თებერვალი. (საკ.ინ.). უნგრეთის ყველა დღევანდელი გაზეთი ბეჭდავს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის იანოშ კადარის განცხადებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის მუშაობის შესახებ, რომელიც გაუკეთა მან მოსკოვში გაზეთ „ნეპსაბადშაგის“ და უნგრეთის დეპეშათა საააგენტოს თანამშრომლებს.

დაახასიათა რა ყრილობის მნიშვნელობა და მისი მუშაობა, იანოშ კადარმა აღნიშნა, რომ ყრილობის მიერ მიღებულმა შვიდწლიანმა გეგმამ საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში დაიწყო საზოგადოებრივი პროგრესის ახალი ეპოქა. საბჭოთა ხალხი უკვე აღის სოციალისტური საზოგადოების მეორე, უფრო მაღალ საფეხურზე — იგი აშენებს კომუნიზმს. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, განაცხადა იანოშ კადარმა, რომ საბჭოთა ხალხი მიაღწევს თავის მაღალ მიზანს. კომუნიზმის აშენება თცნება კი არ არის, არამედ სრულიად რეალური და მისაღწევი მიზანია, რომლის განსახორციელებლად არის ყველა პირობა. საბჭოთა მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის შესანიშნავ მიღწევათა, თანამგზაურებისა და კოსმოსური რაკეტის შექმნის შედეგად უდაოო ხდება, რომ საბჭოთა ხალხი უკვე მეთაურობს მთელ კაცობრიობას შემოქმედებითი შრომის ბევრ დარგში. სრულებით არ არის საეჭვო, რომ მალე იგი ყველა მხრივ უკან ჩამოიტოვებს ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანას — ამერიკის შეერთებულ შტატებს.

თავის წარმატებებს, ხაზგასმით აღნიშნა შემდეგ იანოშ კადარმა, საბჭოთა ხალხი უნდა უმადლოდეს იმას, რომ მის ბრძოლასა და შრომას მეთაურობს ლენინის მოძღვრებით, კომუნიზმის მეცნიერული იდეოლოგიით, მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიით შეიარაღებული ურყევი, ერთიანი, ხალხთან შეკავშირებული რევოლუციური მუშათა პარტია — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. მხოლოდ უდიდესი აღფრთოვანების გრძნობით შეიძლება ვილაპარაკოთ ცენტრალური კომიტეტის, პარტიის წევრთა და ხალხის ერთიანობაზე, საბჭოთა ხალხის სიყვარულზე პარტიისადმი, ცენტრალური კომიტეტისადმი, ნ. ს. ხრუშჩოვისადმი, რაც ყრილობაზე გამომჟღავნდა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მარქსისტულ-ლენინური იდეური სიწმინდე, მისი რიგების მონოლითურობა და შეკავშირება ხალხთან მაგალითია მთელი მსოფლიოს კომუნისტური პარტიებისათვის.

მე ვფიქრობ, განაგრძო იანოშ კადარმა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის შემდეგ უნგრელი მშრომელი ხალხი აგრეთვე უფრო ნათლად ხედავს თავისი მომავლის პერსპექტივებს. საბჭოთა ხალხის წარმატებანი, საბჭოთა ხალხის მიერ უკვე მიღწეული მწვერვალები მოწმობენ, რომ საჭიროა ცხოვრება, საჭიროა უფრო მეტი ენთუზიაზმი, შრომა სოციალისტური მომავლისათვის. უნგრელი ხალხი ძალიან ბევრ რაიმეს უნდა უმადლოდეს საბჭოთა კავშირს, და მისი მომავალი განვითარება განუყოფელია საბჭოთა ხალხის წინსვლისაგან.

იანოშ კადარმა შემდეგ აღნიშნა, რომ საჭიროა სოციალიზმის ყველა ქვეყნის ხალხთა მჭიდრო თანამშრომლობა მთელი სოციალისტური ბანაკის განმტკიცების ინტერესებისათვის.

შეეხო რა XXI ყრილობის როლს მშვიდობის შენარჩუნების საქმეში, იანოშ კადარმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყრილობამ კიდევ ერთი დარტყმა მიაყენა იმპერიალისტებ აგრესორებს, „ციეი ომის“ მომხრეებს და განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების თვალსაზრისით. მშვიდობის თანამიმდევრული ლენინური პოლიტიკა, რასაც საბჭოთა კავშირი ახორციელებს, მშვიდობიანი მშენებლობის ახალი გრანდიოზული გეგმები, განაცხადა იანოშ კადარმა, გვაძლევენ მეტ საფუძველს გვჯეროდეს მშვიდობის შენარჩუნებისა, რასაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს შემოქმედებითი შრომისათვის.

ისტორიული წვლილი

ბუქარესტი, 8 თებერვალი. (საკდესი). რუმინეთის პრესა დიდ ყურადღებას უთმობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობას. გაზეთები ბეჭდავენ მსოფლიოს ბევრი ქვეყნის გამოჩაჟურებას ყრილობის მუშაობის შედეგების შესახებ და სხვა მასალებს.

რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო ეურნალი „ლუტტა დე კლასე“ მოწინავეში, რომლის სათაურია „კომუნიზმის მშენებლობა დიადი ყრილობა“, წერს: ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში ღრმად არის გაანალიზებული პრობლემები, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ სსრ კავშირის გადასვლისათვის კომუნიზმის გაშლილ მშენებლობაზე. მოხსენებამ გაამდიდრა მარქსისტულ-ლენინური თეორიის საგანძური ახალი დებულებებით, რომლებიც შეეხება თანამედროვე საზოგადოების განვითარების, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და პროგრესის ძალების ბრძოლის ძირითად ასპექტებს.

ყრილობამ ცხადყო მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი სასიცოცხლო ძალა და კონკრეტულ ისტორიულ პირობებში მარქსის, ენგელსის, ლენინის ყოვლისმძლე მოძღვრების შემოქმედებითი გამოყენების ცოცხალი მაგალითია. კომუნისტთა, ჩვენი ქვეყნის, ისევე როგორც მთელი მსოფლიოს მშრომელთა ფიქრები მიპყობილია საბჭოთა კავშირის სახელოვანი კომუნისტური პარტიისაკენ, რომელსაც ბრძნულად და გმირულად მიჰყავდა თავისი ქვეყანა პირველი ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუციის გზით, სოციალიზმის წარმატებით მშენებლობის გზით, ახლა მიჰყავს იგი კომუნიზმის მშენებლობისაკენ.

დიადი ყრილობის მუშაობა ისტორიული წვლილია მთელი კაცობრიობის პროგრესის საქმეში.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

მედიცინის ისტორიიდან

ქართულ მედიცინას რომ მდიდარი ისტორია აქვს, ეს კარგა ხანია ცნობილია. მაგრამ უკანასკნელ წლებამდე არ გვქონია სათანადო ფაქტიურ მასალებზე დაფუძნებული ფუნდამენტალური გამოკვლევა ქართული მედიცინის ისტორიის შესახებ. ამ ხარვეზის შევსების ცდას წარმოადგენს 1956 წელს გამოცემული მ. საყაშვილისა და ა. გელაშვილის „საქართველოს მედიცინის ისტორიის“ მესამე ტომის პირველი წიგნი, ხოლო ახლახან გამოვიდა ამავე ტომის მეორე წიგნი.

ავტორთა გულმოდგინე და ნაყოფიერი მუშაობის შედეგად ახლა ფართო საზოგადოებრიობას შესაძლებლობა ეძლევა ნათელი წარმოდგენა იქონიოს ქართული მედიცინის განვითარების გზის შესახებ.

ნაშრომი დამყარებულია პირველწყაროებზე. ავტორებს გამოყენებული აქვთ ხელნაწერი და გამოქვეყნებული სამედიცინო წიგნები, ისტორიული დოკუმენტები, დამხმარე ლიტერატურა და სხვა მასალები.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ გამოცემული მესამე ტომი ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში პირველი ნაშრომია, რომელშიც მოცემულია V-XVIII საუკუნეების ქართული მედიცინის მთელი ისტორია.

ტომში თანმიმდევრულად განხილულია ძველი ქართული მედიცინის განვითარების ძირითადი საფეხურები, V-XVIII საუკუნეების მკურნალთა ზოგადბიოლოგიური და ანატომიურ-ფიზიოლოგიური შეხედულებანი, ავადმყოფის გამოკვლევის ხერხები, დაავადებანი, დაავადებათა მკურნალობისა და სანიტარია-ჰიგიენის, წამალთა მომზადების საკითხები და სხვ.

მეხუთე საუკუნეში საქართველოში გახსნილი ყოფილა საავადმყოფოები, სადაც ავადმყოფთა მკურნალობა და მომავალ ექიმთა აღზრდაც წარმოებდა. ყოფილან ექიმები. ექიმს იმ პერიოდში მკურნალს უწოდებდნენ. მათგან განსხვავებდნენ ხელოვან მკურნალს, რომელიც თავისი ცოდნითა და გამოცდილებით ჩვეულებრივ ექიმზე მაღლა მდგარა. რუსთაველის ეპოქაში სამედიცინო დარგების ერთგვარი დიფერენციაცია მომხდარა. ქირურგიულ დაავადებებს უმთავრესად ქირურგი მკურნალობდა, შინაგან სნეულებებს — მკურნალი, სამეანო საქმე, და გინეკოლოგიურ დაავადებათა მკურნალობა დედათმოძღვრის მოვალეობას შეადგენდა.

ნაშრომში ხაზგასმით არის აღნიშნული ქართული კულტურის მოღვაწეების — პეტრე იბერიელის, იაკობ ცურტაველის, ილარიონ ქართველის, მთაწმინდელების, არსენ იყალთოელის, იოანე პეტრიწის, სულხან საბა ორბელიანის, ვახტანგ VI-ის, იოანე ბაგრატიონის და სხვათა ღვაწლი ქართული მედიცინის განვითარების საქმეში. პეტრე იბერიელს საკუთარი სამკურნალო დაწესებულება ჰქონდა გახსნილი. საექიმო ძალების აღზრდაზე ზრუნავდნენ იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი. სამედიცინო ცოდნის გაფართოებისა და სამკურნალო წიგნების შეკრებისათვის დიდი მუშაობა უწარმოებიათ საბასა და ვახტანგ VI-ეს. ავტორებმა პირველად დაადგინეს IX საუკუნის ცნობილი მოღვაწის ილარიონ ქართველის და „კალმასობის“ ავტორის იოანე ბაგრატიონის საექიმო საქმიანობა.

წიგნის ავტორებს ღრმად შეუსწავლიათ ძველ წყაროებში აღნიშნული დაავადებანი.

ძველ ქართულ მედიცინაში ცნობილი ყოფილა შინაგანი სნეულებანი: ფილტვის ამსცესი, ფილტვის ტუბერკულოზი, მშრალი და სველი პლევრიტი, ბრონქიტი, გულის ნაკლოვანების სხვადასხვა სახეები, პერიკარდიტი, კუჭის წყლული, გასტროენტეროკოლიტის რამდენიმე ფორმა, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის ანთება და სხვ.

ქართველი მკურნალები საკმაოდ დახელოვნებული იყვნენ ქირურგიულ მკურნალობაში, არჩევდნენ ჭრილობის სხვადასხვა სახეებს, მიმართავდნენ მის წინასწარ დამუშავებას, ჭრილობის გაკერვას აბრეშუმის ძაფით, სისხლის დენის შესაჩერებლად იყენებდნენ არაბეთის გომიზს, ყელატინს, შაბს, შედედებულ სისხლს და სხვ.

ავტორებმა პირველად შეისწავლეს მედიცინის ისეთი დარგების განვითარების ისტორია, როგორიც არის მეანობა, გინეკოლოგია, კანისა და ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებანი.

მნიშვნელოვანი შენაძენი

წიგნში მეტად საინტერესოა სპეციალური თავი „ბუნებრივი ძალების სამკურნალოდ გამოყენების შესახებ“. ირკვევა, რომ სამკურნალო მიზნით ბუნებრივი ძალების გამოყენება საქართველოში, ისევე როგორც ევროპაში, ჩინეთში, ინდოეთში, საბერძნეთსა და სხვა ქვეყნებში, ძველთაგანვე ყოფილა ცნობილი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ძველ ქართულ მედიცინაში სამკურნალო საშუალებათა გამოყენებასთან ერთად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ავადმყოფის კვების რეჟიმის მოწესრიგებას, საკვების შემადგენლობის შერჩევას, ანუ დიეტის დაცვას. წიგნში სამკურნალო კვების ზოგადი პრინციპების გარჩევის შემდეგ განხილულია კონკრეტულად ამა თუ იმ დაავადების დროს როგორ დიეტას უნიშნავდნენ ავადმყოფს.

ავტორებმა გამოარკვიეს, რომ თურმე ძველი ქართული მედიცინა იცნობდა ზოგიერთი დაავადების დროს ავადმყოფისათვის მისაცემი პურის მომზადების საგანგებო წესებს. ღვიძლის, კუჭ-ნაწლავის და სხვა ორგანოების ზოგიერთი დაავადების შემთხვევაში ექიმი ავადმყოფის მომვლელს ას

საბჭოთა ჩემპიონები XXVI

გმადლობთ, ჩემო მშობლიურო თბილისო!

ჩემი სანუკვარი ოცნება სინამდვილედ იქცა.

სწორედ აი აქ, ჩემს სამშობლოში, საყვარელ თბილისში, სადაც დავიბადე, გავიზარდე, სადაც ფეხი ავიდგი, როგორც მოჭადრაკემ, თვალსაჩინო შედეგებს მივაღწიე.

რა სასიხარულოა, რომ სწორედ აქ პირველად მოვიპოვე ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის წოდება.

სულითა და გულით მინდა გამოვთქვა დიდი კმაყოფილება იმ გულთბილი მიღებისა და მხარდაჭერისათვის, რომელსაც მე განვიცდიდი ჩემპიონატის დღეებში თბილისელებისაგან. ჩემს წარმატებაში ამ ყურადღებამ, სითბომ, მხარდაჭერამ უთუოდ დიდი როლი შეასრულა.

გმადლობთ, ჩემო მშობლიურო თბილისო!

სსრ კავშირის ჩემპიონი,
გროსმაისტერი **ტ. პეტროსიანი.**

შესანიშნავი ფინალი

საკავშირო ჩემპიონატის ბოლო ტურზე პირველობის გათამაშების ლიდერთა ჯგუფი ისე მივიდა, რომ გაურკვეველი იყო, თუ ვინ იქნებოდა პრიზიორთა რიცხვში, ვინ მოიპოვებდა ოქროს მედალს — ტ. პეტროსიანი თუ მ. ტალი, ან ბ. სპასკი.

სწორედ ამით იყო გამოწვეული ის განსაკუთრებული ინტერესი, რომელიც თან სდევდა უკანასკნელ, მეცხრამეტე ტურს, რომელიც გუშინ გაიმართა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ დღეს ლიდერებს ტ. პეტროსიანს, მ. ტალსა და ბ. სპასკის ძლიერი მეტოქენი შეხვდნენ და სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ბრძოლა მათ პარტიებში განსაკუთრებით შეუპოვარი და მიმზიდველი იყო.

როგორც ცნობილია, გროსმაისტერმა ვ. კორჩნოიმ წინა ტურში დაამარცხა ჩვენი ქვეყნის გასული წლის ჩემპიონი მ. ტალი. იგი გუშინაც განსაკუთრებული მონდომებით თამაშობდა და თვითეულ სვლას დიდი მოფიქრების შემდეგ აკეთებდა. ლაზიერის გამბიტში ვ. კორჩნოიმ ძველი კლასიკური ვარიანტი აირჩია. ფიგურათა მობილიზაციის შემდეგ მე-13 სვლაზე ვ. კორჩნოიმ წამოიწყო კომბინაცია, რომელიც დაკავშირებული იყო ორი მსუბუქი ფიგურის შეწირვასთან ეტლსა და ორ პაიკში. ერთ პერიოდში ეს კომბინაცია მრისხანედ გამოიყურებოდა, მაგრამ ტ. პეტროსიანმა ჩვეული სიდინჯით და სიზუსტით მოიგერია ყველა მუქარა და მდგომარეობა გაამარტივა. მე-20 სვლაზე მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

დარბაზში ერთსულოვანმა ტაშმა იგრიალა. მაყურებლებთან ერთად ჩემპიონატის მონაწილეები ულოცავდნენ ახალ ჩემპიონს ტ. პეტროსიანს დიდ გამარჯვებას. მას თაიგულები და ხილით სავსე კალათები უძღვნეს.

ტ. პეტროსიანის წარმატება ასეთ ძლიერ ტურნირში შემთხვევითი როდია. იგი კარგა ხანია თავისი მიღწევებით ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მოჭადრაკეთა პირველ რიგებშია. წლების მანძილზე, თითქმის ყველა შეჯიბრებაში, სადაც იგი გამოდიოდა, მისი მაჩვენებლები ყოველთვის მაღალი იყო. ტ. პეტროსიანი საუკეთესოდ ფლობს ჭადრაკის თეორიას, დიდი ოსტატობით იყენებს მცირე უპირატესობასაც კი, იშვიათად უშვებს შეცდომას და ამიტომ დაამარცხებაც მეტად მცირე აქვს.

ტ. პეტროსიანი

* * *

საჭადრაკო ჩემპიონატის მებრძოლთა შორის ტ. პეტროსიანი ერთადერთი მონაწილეა, რომელსაც დამარცხება არ განუცდია.

არანაკლებ საინტერესო იყო ბრძოლა რ. ხოლმოვისა და მ. ტალის პარტიაში. რ. ხოლმოვი პოზიციური სტილის მოჭადრაკეთა რიცხვს მიეკუთვნება. ამ ჩემპიონატში მისი წარმატება მეტად თვალსაჩინო აღმოჩნდა.

რ. ხოლმოვმა აირჩია მშვიდი დებიუტი, რაც ბობოქარი მ. ტალის ბუნებას არ ეგუებოდა. ძალთა მობილიზაციის შემდეგ მე-13 სვლაზე მ. ტალი იწყებს კომბინაციურ იერიშს მოწინააღმდეგის მეფეზე. იგი რ. ხოლმოვს სწირავს მხედარს, ხოლო შემდეგ შამათს მუქარით თავაზობს ლაზიერს. რ. ხოლმოვი ამჯერადაც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა, ფიგურათა გაცვლით მოახერხა თამაშის ენდშპილში გადაყვანა. მ. ტალს მცირე უპირატესობა დარჩა, ამასთანავე მოგების შემთხვევაშიც კი ტ. პეტროსიანს ვერ ეწეოდა და მოწინააღმდეგეს ყაიმი შესთავაზა. კვლავ გაისმის ხანგრძლივი ტაში.

გროსმაისტერმა მ. ტალმა მოხდენილი, კომბინაციური და მუდამ ახლის ძიების თამაშით კვლავ დაადასტურა მისი დიდი შემოქმედებითი ნიჭი, მაღალი ფანტაზია, ბრძოლის დაუშრეტელი ენერგია.

პრიზიორობის მესამე პრეტენდენტის ბ. სპასკის ავადმყოფობის გამო მისი პარტია გროსმაისტერ ი. ავერბახთან სასტუმრო „თბილისის“ ერთერთ ოთახში ჩატარდა. 25-ე სვლაზე მოწინააღმდეგენი ყაიმით დაკმაყოფილდნენ.

ამრიგად, მეორე და მესამე ადგილები თორმეტნახევარ-თორმეტნახევარი ქულით გაიყვეს გროსმაისტერებმა მ. ტალმა და ბ. სპასკიმ.

კიდევ ორი წყვილის შეხვედრა ნ. კროგიუსისა და ს. ფურმანის ავადმყოფობის გამო მოეწყო სასტუმროში. ნ. კროგიუსი ამ დღეს თამაშობდა ე. ვასიუკოვთან, ხოლო ს. ფურმანი — ე. გუფელდთან. ოთხივე მოჭადრაკე წინა შედეგებით ჩემპიონატის მონაწილეთა მეორე ათეულში იყვნენ, ამიტომ მათ ბრძოლას შვიდობიანი ხასიათი ჰქონდა და ყაიმით დამთავრდა.

ლ. პოლუგაევსკისათვის უკანასკნელი ტურის შედეგს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. გამარჯვების შემთხვევაში იგი გაიყოფდა მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ადგილებს და ამით გროსმაისტერობის წოდების მოპოვების შესაძლებლობა ჰქონდა. ნიმცოვიჩის დაცვაში ე. გელერმა შავებით ფლანგური განვითარების სისტემა აირჩია. ცენტრში პაიკების გაცვლის შემდეგ ე. გელერმა პაიკებით დაიწყო აქტიური მოქმედება ლაზიერის ფრთაზე. ლ. პოლუგაევსკის დროზე ვერ აუღო ალღო ე. გელერის ჩანაფიქრებს, რის შედეგად მისი ეტლი და კუ შებოჭილი აღმოჩნდა. პარტია გადაიდო ლ. პოლუგაევსკისათვის წასაგებ მდგომარეობაში. გადადო აგრეთვე ა. ნიკიტინ-რ.ნეიმეტდინოვის პარტია.

მწვავე ბრძოლის შემდეგ ყაიმით დამთავრდა ი. იუხტმან-პ. კერესის, მ. ტაიმანოვ-ა. ლუტიკოვისა და ბ. გურგენიძე-დ. ბრონშტეინის პარტიები.

დღეს დილით გათამაშდება გამოტოვებული და გადადებული პარტიები. საღამოს ჩემპიონატი საზეიმოდ დაიხურება.

ა. ფალავანდიშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

მ. ტალი



ბ. სპასკი

ტ. პეტროსიანი — სსრ კავშირის ჩემპიონი ჭადრაკში

ნახვამდის, სტუმართმოყვარე მასპინძლებო!

ერთ თვეზე მეტ ხანს გრძელდებოდა ბრძოლა ჩვენი ქვეყნის საჭადრაკო პირველობისათვის.

გაიმარჯვა ტიგრან პეტროსიანმა. მის გამარჯვებას დიდი კმაყოფილებით შეხვდებიან ჭადრაკის მოყვარულნი.

პირველიდან უკანასკნელ ტურამდე იგი თამაშობდა დიდი სიმტკიცით და არც ერთი დამარცხება არ განუცდია. მისი თამაშის სტილი სასტიკი პოზიციურია და შეიძლება არც მოეწონოთ თავსატეხი კომბინაციების მოყვარულთ. მაგრამ თუ ყურადღებით შეისწავლით მის პარტიებს, გაოცდებით, რა მარტივად და მსუბუქად პოულობს პეტროსიანი ერთი შეხედვით თანაბარ პოზიციაში მოწინააღმდეგის სუსტ პუნქტს და მეთოდურად იწყებს ამ პუნქტის შევიწროებას. მოსკოველ გროსმაისტერს შესანიშნავი ტექნიკა ეხმარება გარეგნული ეფექტებისათვის გვერდის ავლით, მაგრამ ულმობელი თანმიმდევრობით მოიპოვოს პოზიციური უპირატესობა და აიძულოს მოწინააღმდეგე იარაღი დაყაროს. ბევრი როდი ახერხებს თავი დაალწიოს მის რკინის მარწუხს.

ვუსურვოთ მას წარმატებანი მომავალ ბრძოლაში იმის უფლების მოსაპოვებლად, რომ ეთამაშოს მ. ბოტვინიკს მსოფლიო პირველობაზე.

ადგილობრივ გულშემატკივართ, რა თქმა უნდა, ვერ აკმაყოფილებს ბ. გურგენიძის შედეგი. მაგრამ, ჯერ-ერთი, მე უნდა ვთქვა, რომ ყველა ახალგაზრდა მოჭადრაკეს როდი შეუძლია წარმატებით ითამაშოს, როცა მას გახუწყვეტლივ უყურებს ორი ათასი თვალი. ხომ საიდუმლოება არ არის, რომ ხალხით გაჭედილი დარბაზი განსაკუთრებით გულდასმით ადევნებს თვალს ბუხუტის ყოველ სვლას, და, ბუნებრივია, რომ საქართველოს ახალგაზრდა ჩემპიონი ღელავდა. ხოლო მთავარი, ჩემი აზრით, სადებიუტო რეპერტუარის შეზღუდულობაა. გურგენიძე მოვალეა გაიფართოოს თეორიული ცოდნა და ეს უდავოდ მოუტანს მას თავისი ნიჭის შესაფერ წარმატებებს.

ჭადრაკისადმი ინტერესი თბილისში უდიდესია. რუსთაველის სახელობის თეატრი, ხოლო გადადებული პარტიების დამთავრებისას საკონცერტო დარბაზი ყოველთვის გაჭედილი იყო მაყურებლებით. დაწესებულებებსა და საწარმოებში, სადაც სეანსები და ლექციები ეწყობოდა, მეტად გულთბილად ხვდებოდნენ ჩამოსულ მოჭადრაკეებს. და განა შეიძლება დავივიწყოთ გამგზავრება გორის რაიონში, წინანდალში, ან შესანიშნავი ბალეტი „ოტელო“. ახლა გულღია თბილისელთა სტუმართმოყვარეობა! ვფიქრობ, მონაწილეებსაც და მწვრთნელებსაც სულით და გულით სურთ, რომ საქართველოში მორიგი ჩემპიონატის ლოდინი კიდევ 22 წელიწადს აღარ დასჭირდეთ.

გმადლობთ, სტუმართმოყვარე მასპინძლებო! იმედია კვლავ მალე ვნახავთ ერთმანეთს.

გროსმაისტერი ა. ტოლუში.



ᲐᲮᲐᲠᲘᲡ
ᲛᲗᲔᲒᲨᲘ

ფოტოეტიუდი ს. ონანოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲝᲞᲔᲠᲐ

გუშინ, 10 თებერვალს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანმა სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს უჩვენა ახალი სპექტაკლი — ჩეხი კომპოზიტორის ეუგენ სუხონის ოპერა „კრუტნიავა“ („მორევი“). ლიბრეტოს ავტორია სტეფანე გოზასი, რუსული ტექსტი ეკუთვნის რსფსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ნ. დომბროვსკის.

ახალი ოპერის დადგმა განახორციელეს სსრ კავშირის სახალხო არტისტმა დირიჟორმა ო. დიმიტრიადიმ, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ რეჟისორმა მ. კვალიაშვილმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მხატვარმა კ. კუკულაძემ, ბრატისლავის ეროვნული თეატრის ბალეტმეისტერმა მილან გერენმ, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ხორმეისტერმა ე. ტერიშვილმა.

მონაწილეობდნენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები თ. მუშკუდიანი, გ. შმალცელი, ლ. არაქელოვი, სოლისტები ნ. ანდღულაძე, რ. გელოვანი, თ. ლობჟანიძე, შ. მეძველია, კ. ლაშქარიოვა, ო. კუზნეცოვა, გ. დოლიძე, ა. მურადოვა, გ. ტორონჯაძე, პ. თომაძე, მ. მალიაროვი, ო. სულიკაშვილი, თ. ზაალიშვილი, ზ. ხორავა, ნ. ლაგუტინა, ლ. შარაშიძე, საბალეტო დასის სოლისტები ა. დვალი, ი. იასინსკაია, გ. კუკულაძე, რ. წულუკიძე და სხვ.

სპექტაკლი მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

ᲕᲘᲡᲬᲐᲕᲚᲗᲝᲗ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ

საინტერესო ტურნირი ძირითადად ამოიწურა. ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ჭადრაკის მოყვარულნი დიდი უყურადღებით ადევნებდნენ თვალს XXVI ჩემპიონატის ფინალს.

უძლიერესთა ასპარეზობაში გამარჯვებულმა ტ. პეტროსიანმა გამოავლინა თავისი საუკეთესო თვისებები — თეორიის ჩინებული ცოდნა, მიღებული უპირატესობის კარგად გამოყენება. თბილისელ პიონერთა მიერ ტურნირის გახსნისას გამოთქმული სურვილი, რომ „ყაიმების მეფის ნაცვლად გამარჯვებათა მეფე“ გამხდარიყო, ტ. პეტროსიანმა წარმატებით შეასრულა. მ. ტალი, როგორც ყოველთვის, ცოცხლად, საინტერესოდ და საზრიანად თამაშობდა. მას განსაკუთრებული კომბინაციური ნიჭი აქვს. როგორც ჭეშმარიტ მხატვარს მ. ტალს უწინარეს ყოვლისა აინტერესებს პარტიაში ბრძოლა და არა ქულების რაოდენობა. ტურნირის ფინიშზე მას ერთგვარი მარცხი მოუვიდა პარტიებში ს. ფურმანთან და ბ. სპასკისთან, რომლებიც უთუოდ უნდა მოეგო.

ბ. გურგენიძისაგან საქართველოს საჭადრაკო საზოგადოებრიობა მეტს მოელოდა, მით უმეტეს, რომ წინა ჩემპიონატში მან წარმატებით ითამაშა და მხოლოდ სულ ბოლოს გაუშვა ხელიდან იმის შესაძლებლობა, რომ პორტოროჟის საზონთაშორისო ტურნირში მოხვედრილიყო. ბ. გურგენიძე აშკარად არ იყო ფორმაში.

საქართველოს მოჭადრაკეებს განვლილმა ჩემპიონატმა ბევრი რამ საინტერესო მისცა. ჩვენმა მოჭადრაკეებმა, უწინარეს ყოვლისა კვალიფიციურმა მოთამაშეებმა, ღრმად უნდა შეისწავლონ მთელი რიგი მიღწევები, რომლებიც ტურნირის მონაწილეებმა ჭადრაკის თეორიაში შეიტანეს.

საერთაშორისო ოსტატი შ. ბოგლიძე.

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ

ᲓᲐᲚᲔᲡᲘᲡ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ

პარიზი, 7 თებერვალი. (საკდესი). საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან კუვ დე მიურვილთან და პრეზიდენტ დე გოლთან ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის დალესის პარიზის მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ გამოქვეყნებულ იქნა ოფიციალური კომუნიკე. საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა გასაცხადა, რომ დალესის მოლაპარაკებაში საფრანგეთის ხელმძღვანელებთან მიღწეულ იქნა პრინციპული შეთანხმება ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის მოწვევის გეგმაზე. საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საფრანგეთის მთავრობა დათანხმდა, რომ ამ თათბირმა განიხილოს მთელი რიგი პრობლემები, „რომლებიც დაკავშირებულია ბერლინთან, გერმანიის პრობლემა ძოლიახად, ევროპის უშიშროების პრობლემა და სხვები“. გაზეთი „ლიბერასიონი“ აღნიშნავს, რომ საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით დასავლეთის სახელმწიფოები ახლა იძულებული არიან პრინციპულად დეთანხმონ იმ ფაქტს, რომ მდგომარეობა ბერლინში საჭიროა როგორღაც შეიცვალოს, მაგრამ თავიანთ მხრივ არავითარ წინადადებას არ აყენებენ.

„სსრ კავშირმა, — ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი „კომბა“, — წამოაყენა პრობლემა და შემოიტანა აგრეთვე გადაწყვეტილება: დასავლეთი ბერლინი გადაიქცეს თავისუფალ ქალაქად, გაერთიანდეს გერმანია და შემდეგ მოიდეს მისი ნეიტრალიზაცია. დასავლეთმა კი მარტო უარყო ეს წინადადებანი, მაგრამ ნაცვლად არაფერი არ წამოუყენებია. გაზეთი აღიარებს იმ ფაქტს, რომ ამჟამად დიპლომატიური ინიციატივა მთლიანად ეკუთვნის საბჭოთა მთავრობას“, დასავლეთის ქვეყნების მთავრობანი კი მხოლოდ „დაობენ წვრილმანებზე“.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ

პარიზი, 7 თებერვალი. (საკდესი). საფრანგეთში შეიქმნა „ნაციონალისტური პარტია“, რომლის ბირთვია ფაშისტური ორგანიზაცია „ჟენ ნასიონი“ („ახალგაზრდა ერი“), აგრეთვე დაჯგუფებანი, რომლებიც დაკავშირებული არიან ალჟირის ულტრაკოლონიურ ელემენტებთან.

გუშინ პარიზში გაიმართა ამ ახალი რეაქციული პარტიის წევრთა პირველი კრება, რომელმაც ჩაიარა აშკარა ფაშისტური ლოზუნგებით: „ალჟირი საფრანგეთისაა ყველა და ყველაფრის წინააღმდეგ!“, „დაუყოვნებლივ დაითხოვეთ კომუნისტური პარტია!“ და სხვ.

ამ კრებაზე გამოსული ორატორები მოითხოვდნენ საფრანგეთში რესპუბლიკური წყობილების ლიკვიდაციას.

გაზეთი „კრუა“, ახასიათებს რა ამ რეაქციულ შეკრებას, წერს, რომ „ნაციონალისტური პარტია“ ამოცანად ისახავს ხელისუფლებას ჩაუდგეს სათავეში არაპარლამენტური გზით.

ᲓᲐᲚᲔᲡᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲠᲘᲚᲚᲨᲘ

ნიუ-იორკი, 9 თებერვალი. (საკდესი). გამოქვეყნდა წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიის დახურულ სხდომაზე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის დალესის გამოსვლის ძიხაოსი (ოოაელიც გასინჯა ცეხზურამ).

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნიუშნლის ცნობიდან ჩანს, სახელმწიფო მდივანი გაძთვიდა ჩვეულებრივ ოოლძი, თესავდა ექვებს, აღძრავდა უნდობლობასა და ეიშა, ალიერებდა ყოველგვარ ძაძაბულობას სახელმწიფოთა ურთიერთობაში.

ბუნებრივია, იმ პირობებში, როცა საბჭოთა საგაოეო ალოტიკის თეზისს ოძეიის თავიდაა აციალეის შესაძლებლობის ბეაზე ძხაოს ეკერს ასობით ძილიოანი ადამიანი, დალესძა ვერ გაბედა გაიეგბოო „ციკი ომის“ აძკაოა ქადაგეა, ოაგოად ძისი ბოწოდებანი „დააავლეთის საააყარსადმი“ „ეაალოოს საკეაოდ დიდხახს“ არსებითად ეაოძოადგეეს ბოწოდებას „ციკი ომის“ გიხგრძოოისადმი, ოაგისდ გულმოდგინედ უნდა შეაოჩევდეს სახელმწიფო ძდივანი თავის სიტყვეს.

დალესძა გააცადა: „ჩემი თვალსაზრისით, ასოფლეოძი არ აოსებობს ეაეთი საშეალება, რომლითაც შეიძლებოდეს ხელი ძეეუშალოთ საბჭოთა კავშიოს გახდეს სულ უფრო მზარდი ეკონომიური და საძხედოო ძლიერების ქვეყანა“. აძასთან ერთად დალესი ნამდვილი მდგომარეობის დამახინჯებით ცდილობდა საკმესისე წარმოედგინა, თითქოს საბჭოთა კავშიოისა და მთელი სოციალისტური ბანაკის ძლიერება შეიძლება მიმართულ იქნას არა მშვიდობის განმტკიცებისათვის, არამედ... „მსოფლიო კომუნიზმის მსოფლიო პრეტენზიების განხორციელებისა და მთელ მსოფლიოში ბატონობის დამყარების ცდისათვის...“

საერთაშორისო დაძაბულობის გასაჩაღებლად და შიშის აღსაძვრელად დალესმა გამოიყენა ეგრეოწოდებული „ბერლინის საკითხი“ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი შეიცავს ომის საფრთხეს. იგი ამტკიცებდა, რომ დასავლეთის მოკავშირეთა შორის არსებობს სრული თანხმობა: „უმჯობესია ომის რისკი, ვიდრე იძულებული გავხდეთ ბერლინიდან წავიდეთ“.

სახელმწიფო მდივანმა დასავლეთი ბერლინი — ეს მოწინავე ბაზა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ ძირგამომთხრელი მოქმედებისათვის და შეშფოთებისა და კონფლიქტების კერა — გამოაცხადა „თავისუფლების ყველაზე ეფექტიან ნიმუშად“. „ბერლინი, — განაცხადა დალესმა, — არის ის ადგილი საბჭოთა კომუნისტურ სამყაროში, რომელსაც ყველა ხედავს; ეს არის თავისუფლების ერთ-ერთი ყველაზე ამაღელვებელი და თვალსაჩინო ნიმუში, რომელიც კი, ჩემი აზრით, შეიძლება წარმოვიდგინოთ“.

კარგია „თავისუფლება“, რომელიც ემყარება უცხოეთის ხიშტებს და შეუძლია იარსებოს მხოლოდ სამხედრო ოკუპაციის პირობებში!

„ბერლინის საკითხი“, რომლის გამოყენებაც საბჭოთა კავშირის აგრესიულობის „დასამტკიცებლად“ დალესს სურდა, ამრიგად მის წინააღმდეგ შებრუნდა.

„რაპაკის გეგმის“ შესახებ (პოლონეთის გეგმა — ცენტრალურ ევროპაში შეიქმნას ატომური იარაღისაგან თავისუფალი ზონა), რომელიც ხელს შეუწყობს ევროპაში ნდობის ვითარების შექმნას, დალესმა განაცხადა, რომ „ეს გეგმა მისი ახლანდელი ფორმით მეტად არახელსაყრელია დასავლეთისათვის სამხედრო თვალსაზრისით“. დალესის ნათქვამის მეტი წილი „რაპაკის გეგმის“ შესახებ ცენზურამ ამოშალა.

დალესისათვის „ორლესული სატევარი“ აღმოჩნდა მეორე მაგალითიც, რომელიც მან მოიყვანა საგარეო საქმეთა კომისიის სხდომაზე. გამოაცხადა რა ტაივანზე ჩანკაიშელთა ხროვის უთუო მხარდაჭერა, სახელმწიფო მდივანი გამოვიდა როგორც დედამიწის ამ ნაწილში დაძაბულობის შენარჩუნების დამცველი.

ᲐᲛᲭᲐᲛᲐᲓ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡ

ᲓᲐᲚᲔᲡᲘ „ᲪᲘᲕᲘ ᲝᲛᲘᲡ“ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲡ ᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲡ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲔᲚᲘ ᲚᲔᲘᲑᲝᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲛᲘᲔᲡᲐᲚᲛᲔᲑᲘᲐᲜ ᲛᲐᲙᲛᲘᲚᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲐᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

ლონდონი, 9 თებერვალი (საკდესი). გაზეთ „ტაიმსის“ 9 თებერვლის ნოტერში გამოქვეყნებულია ტექსტი წერილისა, რომელსაც ხელს აწერს პარლამენტის ლეიბორისტ წევრთა ჯგუფი და რომლითაც „სინი მოუწოდებენ“ გამოცხადდეს, ინგლისის საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი დებულების ცვლილებაა ძანამდე, სანამ მაკმილანი მოსკოვს გაემგზავრებოდეს.

ლეიბორისტები, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ წერილს, მიესალმებიან პრემიერ-მინისტრის მომავალ გამგზავრებას, „თუ სერიოზულად არის მიღებული მხედველობაში ამით ხელი შეუწყონ ურთიერთგაგებას და მშვიდობას მთელ მსოფლიოში“. ამის შემოწმება, როგორც წერილშია ნათქვამი, იქნება პრემიერ-მინისტრის მზადყოფნა შეცვალოს განუხრელი პოზიცია, რომელიც მას დღემდე ეკავა ყველა დიდმნიშვნელოვან და საადავო საკითხზე ევროპაში, შუა და შოოეულ აღმოსავლეთში, აგრეთვე განიარაღების მიმართ.

ჩვენ მიგვაჩნია, ნათქვამია შემდეგ წერილში, რომ მთავრობამ „უნდა გაფანტოს ყველა ექვი და გახაცხადოს, რომ მზად არის ანლებურად მიუდგეს გერმანიისა და ევროპის უშიშროების პრობლემებს ისეთი პრინციპების სულისკვეთებით, რომლებიც ქმნიან გონივიერ პერსპექტივას მეთანხმების ძისაოწევად. ეს, კერძოდ, ნიშნავს, რომ მთავრობა მზად უნდა იყოს უარი თქვას მოთხოვნაზე, რომ გერმანია გაერთიანდეს თავისუფალი არჩევნების მოწყობის გზით და ექნეს ნატოში შესვლის უფლება, და იგი (ინგლისის მთავრობა) უნდა დათანხმდეს რაღაც განცალკევებას რაპაკის გეგმის სულისკვეთებით...

ხომ ფაქტია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ სენატორმა ფულბრაიტმა ამას წინათ ძტკიცედ მოითხოვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაში მოხდეს ხელახალი ორიენტაცია ამ პრინციპების სულისკვეთებით, ხოლო წინადადებანი, რომლებსაც უკანასკნელი საბჭოთა ნოტა შეიცავს, ცხადყოფენ, რომ ამ ბაზაზე შეიძლება სსრ კავშირთან შეთანხმება“.

წერილს ხელს აწერენ იან მიკარდო, სიდნეი სილვერმენი, სტივენ სუინგლეთი, კ. ზილიაკუსი და ჰაროლდ დევისი. წერილი დათარიღებულია 5 თებერვლით.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲗᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲕᲐ 13 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ.

რედაქტორი
დ. მეედლიშვილი.

მილიონი წლის წინათ...

ახალქალაქის მიდამოებში, „ამირანის მთის“ ძირში, მეოთხეული ასაკის ტბიერ ნალექებში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პალეობიოლოგიის ინსტიტუტის ექსპედიციამ აღმოაჩინა ნამარხი ძუძუმწოვრების ადგილსაპოვებელი. გათხრების შედეგად შეგროვებულ იქნა მეტად საინტერესო და მდიდარი ოსტეოლოგიური კოლექცია. მასალის წიხასწარი შესწავლით დადგენილია, რომ ქვედა პლეისტოცენში (დაახლოებით ერთი მილიონი წლის წინათ) ახალქალაქის მიდამოებში უცხოვრიათ ცხოველებს, რომელთა უმრავლესობა დღეისათვის ნაწილობრივ ან მთლიანად ამომწყდარია. აქედან აღსანიშნავია სპილო, ეთრუსკული მარტორქა, არქაული ცხენი, გიგანტური ირემი, გამოქვაბულის აფთარი, მგელი, ზაზუნა და სხვ. ჩამოთვლილი ფორმების უმეტესობა პირველად არის ნახული ამერიკაკავკასიის ტერიტორიაზე.

საყურადღებოა, რომ ნამარხი ხორცთმიანების წარმომადგენლები საქართველოს ტერიტორიაზე და საერთოდ ამერიკაკავკასიაში იშვიათად გვხვდება. ახალქალაქის ხორცთმიანი გარდამავალი ფორმაა სამხრეთის სპილოდან ძამონტისაკენ, იგი ცნობილია პალეონტოლოგიაში ტრაგონთერიული სპილოს სახელით და დღემდე ეს ფორმა ამერიკაკავკასიაში ნაპოვნი არ ყოფილა.

გიგანტური ირემი საქართველოს ტერიტორიაზე პირველად ჩვენი ექსპედიციის მიერ იქნა დადგენილი. მისი ნამთები ცნობილია აზერბაიჯანის განთქმულ ბინაგადის „ცხოველთა სასაფლაოდან“. გიგანტურ ირმებს ზშირად ფართორქიან ირმებსაც ეძახიან მათი გრძელი და ზოგჯერ 2,5 მეტრამდე გაშლილი რქების გამო. ამით იყო გამოწვეული, რომ ეს ცხოველები ტყიან ადგილებს ნაკლებად ეტანებოდნენ, რადგან უზარმაზარი რქების პატრონს ტყეში უჭირდა მტაცებლებისაგან თავის დაღწევა. ირმების ეს მეტად ლამაზი და თავისებური წარმომადგენელი ახლა სრულიად ამომწყდარია.

ახალქალაქის ფაუნაში ყველაზე მოულოდნელი და საინტერესოა ნამარხი ბეჰემოთის ნაშთები, რომელიც ყველა დღემდე ცნობილ ნამარხ და თანამედროვე ფორმებს აღემატება სიდიდით. ნამარხი ბეჰემოთი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დღემდე ცნობილი არ იყო.

გეოლოგიურ წარსულში ბეჰემოთები ფართოდ იყვნენ გავრცელებული, მათი ნაშთები ნაპოვნია გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში, ინდოეთში და სხვა ადგილებში. ამჟამად კი მხოლოდ აფრიკაში გვხვდებიან. თანამედროვე ბეჰემოთების ერთი წარმომადგენელი ძირითადად მდინარეებში და დაჭაობებულ ადგილებში ცხოვრობს. მეორე წარმომადგენელი ცნობილია ლიბერიის ჯუჯა ბეჰემოთის სახელით, უფრო ხეტყლეთზე მოსიარულე ფორმაა და ცხოვრობს ტროპიკულ ტყეებში. აღმოსავლეთ საქართველოში და კერძოდ ახალქალაქის მიდამოებში მსგავსი დიდი ძალისარეების, ტბებისა თუ ტროპიკული ტყეების არსებობა მეოთხეულში ძნელი დასაშვებია, რადგან მეოთხეულის ბოლოდან დღემდე ამერიკაკავკასიის პალეოგეოგრაფია მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. მაშ რა პირობებში ცხოვრობდა ახალქალაქის ბეჰემოთი? ამ კითხვაზე გვიპასუხებს ახალქალაქის ბეჰემოთის წინა კიდურის მორფოლოგიური თავისებურება, რაც მესამე თითის მნიშვნელოვან დაგრძელებაში გამოიხატება. ეს ფაქტი შესაძლოა იმას მოწმობდეს, რომ ახალქალაქის ფორმა ლიბერიული ჯუჯა ბეჰემოთის მსგავსად უკეთ იყო შეგუებული ხმელეთზე სიარულს, მაგრამ მისგან განსხვავებით უფრო მშრალი ჰაერის პირობებში ცხოვრობდა.

ახალქალაქის ფაუნისტური კომპლექსის აღმოჩენას დიდი მნიშვნელობა აქვს მეოთხეულის ფონდიდი პალეოგეოგრაფიული სურათის აღდგენისა და ატლატიგრაფიული თვალსაზრისით. იგი იმედნად თავისებური და ორიგინალურია, რომ თავისი მნიშვნელობით არ ჩამოუვარდება სსრ კავშირში ცნობილ ტამანისა და ტირასპოლის ნამარხ ცხოველთა ადგილსაპოვებლებს. ამიტომაც გასაგებია ის დიდი ყურადღება, რომელსაც პალეობიოლოგიის ინსტიტუტი იჩენს ამ ადგილსაპოვებლისადმი.

გათხრები, რომელთა ჩ